სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 16 ნოემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დღისით 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 248 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 248

ხიდისთავის ამხანაგები აუწყებენ ამხანაგთ და ნაცნობთ ამხანაგის ფერშლის

სერაპიონ კონსტანტინეს ძე

რამიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხიდისთავში 16 ნოემბერს.

ემელიანე და კასინე ლომთათიძეები შვილებით: გერმანე და ვალენტინათი ღრმა მწუხარებით აცხადებენ გარდაცვალებას ს. ხიდისთავში საყვარელი

სერაპიონ კონსტანტინეს ძე

რამიშვილის.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: კონსტანტინე და ეკატერინა, ძმა სერგო, და მართა, სიმამრი გიორგი კალანდაძე და შვილი მიშა რამიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი შვილისა, მეორენი ძმისა, მესამე ძვირფასი სიძის და მეოთხე საყვარელი მამის

სერაპიონ კონსტანტინეს ძე რამიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხიდისთავში 16 ნოემბერს.

ღრმად დამწუხრებულნი პაშე და ცუნე ჟორდანიები, გოგოლა გოთუასი, ევლამპია და ფერიჩკა ჟორდანიასი შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველნი მამის ხოლო უკანასკნელნი სიმამრის და ბაბუის

ლევანუხუ შევარდენის ძე ჟორდანიას

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 16 ნოემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაზე ქ. ლანჩხუთში.

ქ. ფოთში, ადგილობრივ სასაფლაოზე 6 ნოემბერს (ძველი სტ.), დღის 3 საათ. გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი მუდამ სახსოვრის ჩვენს პაწია

არჩილ აკაკის ძე რუხაძის

სულის მოსაგონებლათ. რასაც აუწყებენ ნათესავს, მეგობართ და ამხანაგებს: დედა მარია (ნატაშა) და მამა აკაკი პავლეს ძე რუხაძე. 2—1

დიდათ დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი დედ-მამა გარსევანი და ელისაბედი, ძმა ბართლომე, დები ნატალია, თებრონე და ეკატერინა, სიძეები ბუჯუ, დიმიტრი და გრიგოლი,—ბიძაშვილები ელიზბარ, ვასილ, დიმიტრი და გიორგი, რძლები ლიდა, მინადორა და პელაგია მესკირიები აცნობებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 11 ნოემბერს (ახ. სტ.) ქ. ახალ სენაკში გარდაიცვალა

პრაპორშჩიკი ექვთიმე გარსევანის ძე მესკირია

პანაშვიდი ყოველ დღე, სალამოს ექვს საათზე დაკრძალვა მოხდება სოფ. ხორშში, წმინდა გიორგის ეკლესიაზე, 16 ნოემბერს, შაბათს, სალამოს ხუთ საათზე.

ძმები: ვახტანგ და ივანე ზურაბის ძენი, რძლები მატა და მენიკო, ძმის შვილები პლატონ ვახტანგის ძე, მეუღლე მისი მარიამი შვილებით: ვახტანგი, თინიკო, დარეჯანი და ზურაბი, ექიმი ვლადიმერი ვახტანგის ძე კალოიანები, კატო ჭყონიასი, ანეტა გიგინეიშვილისა, ნინა ხუნდაძისა, ნადიჩკა დუდუჩავასი, სონია ცინცაძისა, სოლომონ, ლიზა, ფერიჩკა, ფოტულია, აგრაფინე, ცენე კალოიანები. სიძეები: ყარამან ჭყონია, გურგენ გიგინეიშვილი, ესე დუდუჩავა, ეფრემ ხუნდაძე, შალვა ცინცაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, პირველი საყვარელ ძმისას, მეორენი დაუვიწყარ მაზლის, მესამენი და მეოთხე საყვარელ ბიძის

ბესო ზურაბის ძე კალოიანის

გარდაცვალებას, რომლის ტირილი და გამოთხოვების დღე დანიშნულია 17 ნოემბერს, კვირას, თორმეტ საათზედ სოფელ ნიგორზღვაში, დაკრძალვა ნაშუადღევის ოთხ საათზედ, საგვარეულო სასაფლაოზე.

სახალხო სახლში

შაბათს, 16 ნოემბერს, სახალხო სახლში დანიშნულია თფ. მუშათა დეპ.

საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი: რევოლიუცია გერმანიაში. მომხსენებლებად გამოვლენ: ამხ. ნ. ნ. ჟორდანია, ი. გ. წერეთელი და ნ. ს. ჩხეიძე.

დასაწყისი სალამოს 6 საათზე.

გერმანიის სოციალისტების მოწოდება

გერმანიის სახით ეს მეორე იმპერიალისტური ბურჟუაზია დაეცა ძირს. თუ ამ რკინასა და ფოლადში ჩამჯდარმა, ყველაზე ძლიერმა და შეუდრეკელმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო დროთა ბრუნვას, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებსაც რუსეთის და გერმანიის ბედი უნდა ეწიოთ, რომ შორს არაა წამი, როდესაც დემოკრატიის წინაშე ისევე ქედს მოიხრიან შეთანხმების ქვეყნის იმპერიალისტები, როგორც ეს მოხდა გერმანიაში. ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, და კეთილგონიერება მოითხოვს, რომ ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებში, გაბატონებულ კლასებმა დროზე მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიონ, თავის დროზე დადგნენ დათმობის და მშვიდობის მოყვარეობის გზაზე და ამით თავიდან აიცილონ ისეთივე რისხვა დემოკრატიისა, რომელიც თავს დაატყდა გერმანიის მთავრობას. მაგრამ ყოველთვის ასე ყოფილა და დღესაც ასეა: გაბატონებულ კლასებს არ სჩვევიათ დროთა ბრუნვის შეგნება და თავის დროზე თანხმობა იმის, რაც გარდუვალია. ისინი ყოველთვის ბოლომდის ებღაუჭებიან თავის ბატონობას და საქმე უკიდურეს გამწვავებამდის მიჰყავთ. დღესაც ამას ვხედავთ.

საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის კოალიციის შეერთებულ ძალას გერმანიამ ვერ გაუძლო და იარაღი დაყარა. წინეთ, სანამ ომის ბედი გამორკვეული იყო, შეთანხმების სახელმწიფოებს მესვეურნი სულ იმას გაიძახოდნენ, რომ ისინი ებრძვიან **არა გერმანიის ხალხს, არამედ გერმანიაში** გაბატონებულ **იმპერიალიზმს და** იმპერიალისტურ **მთავრობას.** დღეს დადგა წამი მათ გულწრფელობის გამოცდისა: გერმანიის სათავეში აღარ სდგას იმპერიალისტური მთავრობა, დღეს გერმანიაში თვითხალხმა ჩაიგდო ხელში სახელმწიფოს სადავე და ზავს თხოულობს; საფრანგეთ - ინგლის - ამერიკის იმპერიალისტურ მთავრობას დღეს წინ უდგას გერმანიის მშრომელი ხალხი და ეუბნება: „თქვენ გინდოდათ პირდაპირ გერმანიის ხალხთან გქონოდათ საქმე და იმ პირობით თანხმდებოდით „სამართლიან ზავზე". აი ჩვენ იარაღი დავაყრევინეთ ჩვენს მთავრობას და გადაჭრით მოვითხოვთ ომის შეწყვეტას. სთქვით თქვენი სიტყვა".

რა პასუხს იძლევა გამარჯვებული იმპერიალისტური კოალიცია? იგი არ თანხმდება მარტო იმას, რომ გერმანიის სახელმწიფოს მოუსპო თავდაცვითი და თავდასხმითი ძალებიც, რომ მან ხელთ იგდო როგორც გერმანიის მთელი შეიარაღება, ისე ფლოტი. მან კიდევ უფრო გააძლიერა გერმანიის ბლოკადა და გერმანიაში არ უშვებს არავითარ საქონელს. თუ იმპერიალიზმის მესვეურნი დღემდის ამბობდნენ, გერმანიაში გაბატონებულ იმპერიალიზმს ვებრძვითო, დღეს მათ ნიღაბი ჩამოიხსნეს, იერიში მიაქვთ გერმანიის პირდაპირ მშრომელ ხალხზე, რომელმაც ძირს დასცა იუნკერ-ფინანსისტების მთავრობა, და ამით ხელს უწყობენ გერმანიის გაბატონებულ კლასებს და ცდილობენ ისევ აღადგინონ ისინი. ინგლისის იმპერიალისტური მთავრობა ცდილობს ბლოკადის საშუალებით შიმშილით დაასუსტოს დღეს გერმანიის სათავეში მოქცეული მშრომელი ხალხი და გააბატონოს დრო-მოჭმული კლასები.

გერმანიის სოციალისტურმა პარტიებმა მიმართეს ყველა ქვეყნების მშრომელ ხალხს მოწოდებით, რომელშიაც ცდილობენ ნიღაბი ჩამოგლიჯონ გამარჯვებულ კოალიციის იმპერიალისტებს. მოწოდებაში ახსნილია, რომ დროებითი ზავის პირობების შესრულება გერმანიის ხალხს შიმშილით ამოსწყვეტს, რადგან ეს „შეუძლებლათ ხდის გერმანიის ხალხისათვის საზრდოს მოწოდებას", რომ „იმპერიალისტურ მთავრობების მიერ ნაკარნახევი" დროებითი ზავის პირობები დიდს საფრთხეში ჩააგდებენ გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკის მუშებს და ჯარისკაცებს". სოციალისტური პარტიები სთხოვენ ყველა ქვეყნების ამხანაგებს თავიდან აიცილონ გერმანიის მშრომელ ხალხს ის საფრთხე, რომელსაც მას უმზადებს ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალიზმი.

როგორი იქნება პასუხი ყველა ქვეყნების მშრომელ ხალხისა? რას იტყვიან ამ მოწოდებაზე მეტადრე გამარჯვებულ ქვეყნების მშრომელნი და ჯარისკაცის მაზარაში გახვეული მუშები?

ამ მოწოდების პასუხს გვაძლევს ის ცნობა, რომელიც იტალიის ჯარის შესახებ მოვიდა. იტალიის ჯარში თავს იჩენს ფრონტიდან წასვლა. ჯარისკაცები აცხადებენ, დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანას საფრთხე აღარ მოელის, როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგე იმპერიალისტური სახელმწიფო უიარაღოთ არის, ჩვენ ვიღას უნდა ვეომოთო!.. ეს ცნობა, უეჭველია, პირველი მერცხალია: ამნაირივე ცნობებს უნდა მოველოდეთ საფრანგეთიდანაც, სადაც გაცხარებული აგიტაცია სწარმოებს ომის წინააღმდეგ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამნაირივე მოძრაობა ინგლისის ჯარსაც მოედება და ამნაირათ ყველა სახელმწიფოების მშრომელი ხალხი თითონვე ალაგმავს თავის იმპერიალისტურ მთავრობას ისევე, როგორც გერმანიის მშრომელმა ხალხმა ალაგმა თავისი მთავრობა.

პრესა

„ზნამია ნაროდა" სასტიკათ კიცხავს ჩვენი მთავრობის და პარლამენტის მუშაობის ხაზს. მეთაურ წერილში სწერს:

„ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ცხოვრების და დემოკრატიის მოთხოვნებსა და მთავრობის მოქმედებას შორის. ეს შეუსაბამო გრანდიოზულ მოვლენების პირზე დღეს განსაკუთრებით გეჩხირებათ თვალში და ხელახლა აყენებს საკითხს შინაურ პოლიტიკის კურსის შეცვლისას".

ქვემოთ გაზეთი ცდილობს დაასაბუთოს მის მიერ წამოყენებული ბრალდება, კონკრეტიულათ ჩამოთვლის სიკვდილით დასჯის კანონის შემოღებას, სამხედრო წესებს და საერთოდ რეპრესიებს და რჩევას იძლევა: დაანებეთ თავი რეპრესიებს და სოციალურ შემოქმედებას მიაქციეთ ყურადღება, თორემ დემოკრატიას დაღუპვა არ ასცდებაო.

„ზნამია ნაროდა", როგორც ვიცით, პრინციპიალურათ არ არის წინააღმდეგი რეპრესიების. მაგრამ მას არ მოსწონს რეპრესიები, რომელიც მიმართულია ქსნის ხიდის ამფეთქებლების და დაშნაკელების პროვოკაციის წინააღმდეგ. ბარემ პირდაპირ სთქვას, თუ რა სწადია რუს ესერების გაზეთს, თორემ განა მან თითონ არ იცის, რომ ჩვენი მთავრობა და პარლამენტი ენერგიულათ მუშაობენ სოციალურ რეფორმების გასატარებლათ? ან იქნებ გვირჩევენ ბალშევიკური ექსპერიმენტები ვცადოთ?

* * *

კადეტური „რეჩ"-ი დიდის ამბით აღნიშნავს თფილისში ინგლისელების დელეგაციის მოსალოდნელ მოსვლას. თავის თავათ აქ რა არის გასაკვირი და მოულოდნელი: ჩვენმა მთავრობამ ნება დართო აქ ცხოვრების ინგლისელების იმ დელეგაციას, რომელიც ბალშევიკებმა კავკაზში არ დაინდეს. მაგრამ „რეჩ"-ი შემთხვევით სარგებლობს, რომ ინგლისელების ძლიერებას ფარისევლური სალამით შეხვდეს და გერმანიის დემოკრატია ჩაწიხლოს. ამით ის ორი კურდღლის მოკვლას ფიქრობს: ინგლისელების გულის მოგებას და საქართველოს დამცირებას. ამისათვის „რეჩ"-ის მოწინავე სწერს:

„ომის პირველ დღიდან პარტია უცვლელათ იდგა მოკავშირეთა ორიენტაციის გზასო", თუმცა თითონ გრძნობს უხერხულობას და იხსენიებს კადეტების ლიდერის მილიუკოვის პოზიციასაც.

თუ რამდენათ გულწრფელია თავის გრძნობებში „რეჩ"-ი, ეს ჩვენ ნაკლებათ გვაწუხებს, მაგრამ თუ რა სწადია მას, ეს უნდა ვამცნოთ მკითხველებს:

„მოკავშირენი, რასაკვირველია, არ დაკმაყოფილდებიან მარტო საქართველოთი, არამედ გაავრცელებენ თავის გავლენას ყველა ჩვენს სახელმწიფოებზეო".

ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა და მონარქიულ რუსეთში დაბრუნება—აი რა სწადია ჩვენთვის კადეტურ „რეჩ"-ს.

ყალბი დემოკრატიზმი

(სოციალ-დემოკ. ყრილობის დამსწრის შთაბეჭდილებანი).

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მერვე ყრილობის დიდს უმრავლესობას სოფლელი დელეგატები შეადგენენ. ჩვენი ქვეყანა უმთავრესათ სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, მრეწველობა თითქმის სრულებით განუვითარებელია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბათუმი და ბაქო ჩვენთან აღარ არის, უფრო საგრძნობი ხდება სოფლის გავლენა. უცქერი დელეგატების დიდს უმრავლესობას და ამჩნევ: ესენი ბრძოლაში ისე გამოწრთობილნი, რომ მათი დაშორება მუშათა საქმისაგან არავითარ ძალას არ შეუძლია, მათ აღგზნებულ თვალებს და სახის გამომეტყველებას რომ ეკვირდებით, თვალწინ პირველ საუკუნის ქრისტიანობის მოციქულები გეხატებათ. ისე შეზრდილან ისინი ხალხთან, რომ ხალხის პირ ვარამი მათ პირ-ვარამათ გადაქცეულა.

მაგრამ ხალხს, განსაკუთრებით სოფლის ხალხს, ერთგვარი ბეჭედი დაუსვამს მათი გრძნობებისათვის. ვამბობთ გრძნობებისათვის, რადგან მათი განყენებული მსჯელობა სრულებით არ ეთანხმება იმას, რასაც ისინი გრძნობენ. და როცა საზოგადო მნიშვნელობის საკითხი ირჩევა, სწორეთ გრძნობა უსწრებს აზროვნობას და ატყვევებს, იმორჩილებს მას.

ეს აშკარათ გამოირკვა მაშინ, როცა ყრილობა არჩევდა აგრარულს და მუშათა საკითხებს. გაისმოდა ხმები: რა მისცა მუშებს და გლეხებს სოციალისტურმა მთავრობამო.

მართლაც, რა მისცა მთავრობამ მუშებს? განა დღესაც არ იწყლება წელში მუშების და წვრილ ინტელიგენციის ერთი ნაწილი უმუშევრობისაგან? განა მუშების დიდი ნაწილი დღესაც არ იტანჯება სამუშაო ქირის სიმცირის გამო ცხოვრების სიძვირისაგან? ყველაფერი ეს მართალია და ვის შეუძლია დავა ამის წინააღმდეგ? მაგრამ იციან თუ არა მუშებმა, რომ წარმოება დაცემულია, იციან თუ არა მათ, რომ ქვეყანა გაღარიბების გზაზეა შემდგარი საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეულ მიზეზით? რა ქნას მთავრობამ, როცა წარმოება არც კერძო და არც სახელმწიფო, არავითარ მოსავალს არ იძლევა? მუშა ხომ ზედმეტ ღირებულებიდან ([illegible]) რაც შეიძლება მეტი გამოერჩის კაპიტალისტებისათვის, მაგრამ ზედმეტ ღირებულებას რომ არ იძლევა წარმოება?

აიღეთ აგრარული საკითხი. ამ საკითხის განხილვის დროსაც გაისმოდა ხმები: განა შესაძლებელია გლეხობას რომ მუქთად, უფასოდ არ დაურიგდეს მიწებიო. ამავე დროს ანგარიშს არ აძლევენ თავის-თავს და არ კითხულობენ: რამდენი შემოდის გადასახადის სახით სახელმწიფო ხაზინაში. ჩვენ ვიცით, რომ მთავრობამ ვერ მოაწყო საჭირო აპარატი გადასახადების ასაკრეფათ, ერობა, რომელმაც ეს საქმე უნდა იკისროს, ჯერ მოუწყობელია და თითონ ითხოვს მთავრობისაგან დახმარებას. მთავრობამ საიდან უნდა მისცეს ეს დახმარება, თუ კი ხაზინაში არავინ შემოიტანს. იტყვიან პროგრესიული გადასახადი შემოვიღოთ შემოსავლის კვალობაზეო. ეს, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ჩვენში რომ წარმოება განუვითარებელია, რას მოგვცემს ეს შემოსავლის კვალობაზე დანიშნული გადასახადი. ცხადია, დიდს არაფერს და ისევ უძრავ ქონებაზე მოგვიხდება გადასახადის დადება. ასეთი უძრავი ქონება უმთავრესად მიწაა. ცხადია, რა კი მიწაზე, სულ ერთია, უნდა დავადოთ ბაჟი, რატომ ახლავე არ შეიძლება გავყიდოთ ეს მიწა—ისე კი, რომ ღარიბ გლეხს შეღავათი მიეცეს, ბაზრის ფასებზე გაცილებით ნაკლები გადახდეს და გადახდის დროც გაუგრძელდეს. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ პოლიტიკური მომენტიც სახეში მისაღებია: თუ ვინიცობაა რეაქციამ წამოყო თავი, ის ვერ შესძლებს ჩამოართვას გლეხს ნაყიდი მიწა: ამ შემთხვევაში გლეხობა, როგორც ერთი კაცი, აღსდგება და ფულით შეძენილ ქონებას სისხლით დაიცავს.

კერძოთ რომ ესაუბრო სოფლელს, ის თქვენს მოსაზრებებს გაიზიარებს. გლეხი ბუნებრივ ალღოს საშუალებით მიხვდება, თუ რაა მისთვის საჭირო, მაგრამ სოფელში მომუშავე ინტელიგენტნი ისე დაუმონავებია გრძნობას, რომელსაც ხალხის გასაჭირი იწვევს, რომ ხშირად, ძალიან ხშირათ ჰკარგვენ საღ აზროვნობის უნარს. უყურებ ამ ზოგიერთებს და გაგონდება სახარების სიტყვები: ნეტარ ხართ თქვენ: არცა სთესთ, არც მკით და მაძღრები კი ხართ. ეს იყო ძველი რომის ლუმპენ პროლეტარიატის იდეალი.

რა დიდი კვალი დაუჩნევია ამ იდეალს ზოგიერთების აზროვნობაზე.

ელი.

მერვე ყრილობა

ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

14 ნოემბრის დილის სხდომა.

აგრარული საკითხი.

მომხსენებელია ნ. ხომერიკი.

ნ. ხომერიკი. ამხანაგებო! ორი წელიწადი შესრულდება მალე, რაც რუსეთის რევოლიუცია დაიწყო და წელიწადი მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასია და შემდეგ საქართველო შეუდგა აგრარულ რეფორმების პრაქტიკულ განხორციელებას. რუსეთის რევოლიუციის პირველსავე დღიდან გლეხკაცობა და ფრონტზე მყოფი ჯარისკაცების ფარაჯებში გამოწყობილი გლეხკაცის შვილები ამ კითხვას დიდ ყურადღებას აქცევდენ. მოხდა თუ არა გადატრიალება, მაშინვე ყველამ აღიარა, რომ მემამულეებს მიწები უნდა ჩამორთმეოდათო. ეს შეხედულება ყველასთვის უდავო იყო და ყველა ურიგდებოდა ამ აზრს; მახსოვს რევოლიუციის პირველ დღეებში, როდესაც მე ციმბირიდან ვბრუნდებოდი პეტროგრადში დიდ მიტინგზე, როძიანკომ განაცხადა, რომ მემამულეებს მიწები უნდა ჩამოერთვას, მხოლოდ საერთოწესით, დამფუძნებელი კრების დასტურით. დემოკრატიულ წრეებშიაც იმ აზრს ადგენ, რომ მიწის ჩამორთმევა დამფუძნებელ კრებამ უნდა გადასწყვიტოსო. მიწის საკითხი ფრიად რთულია, მისი გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ ისეთ ავტორიტეტულ ორგანოს, როგორიც იქნებოდა დამფუძნებელი კრება. ასეთ შეხედულებას დიდი უარყოფითი შედეგები მოჰყვა, გლეხობა არ ითმენდა ამ საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებამდე. ბალშევიკების გამარჯვება სწორედ ამით აიხსნება, რომ პრაქტიკულათ აგრარულ რეფორმის განხორციელება გაჭიანურდა, დაკარგა ხალხს იმედი, დაიწყო არევ დარევა, ექსცესები. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებსაც მოედო ანარქია, გორის მაზრაში გლეხებმა დასტაცეს მემამულეებს მიწები. ცხადია, ამისთვის დროზე უნდა მიგვექცია ყურადღება და ეს სტიქიონი რომ არ ჩაგვეყენებინა კანონიერ კალაპოტში, ანარქია გაძლიერდებოდა. ასეთ დროს შეიკრიბა ამიერ კავკასიის სეიმი, ეს ის დრო იყო, როდესაც გლეხები იტაცებდნენ რა მამულს, ხოცავდნენ ყოფილ მემამულეებს, პირველ კითხვათ ჩვენ ფრაქციის მიერ იქნა დასმული სეიმში მიწის საკითხი. ამ კანონს ეწოდება 7 მარტის კანონი. უნდა მოგაგონოთ, რომ სეიმის მიერ გამოცემულ მიწის კანონამდე არსებობდა ეგრეთ წოდებულ ამიერ-კავკასიის კომისარიატის 16 დეკემბრის დეკრეტი, რომელიც უბრალო დეკლარაცია იყო და არა მიწის საკითხის გადაწყვეტა. ეს დეკრეტი ამბობდა, რომ მიწები უნდა ჩამოერთვას მემამულეებს, გადაეცეს საადგილ მამულო კომიტეტებს ადმინისტრატიულ გადამიჯვნის შემდეგო. ეს იყო დაპირება, მას არავითარი გავლენა არ მოუხდენია, ექსცესები გრძელდებოდა და საშინელ ხასიათს იღებდა.

სოციალ-დემოკრატიამ მიწის საკითხი სეიმში პირველ რიგში დააყენა და გადასჭრა იგი ცალმხრივათ, სრულიათ შეგნებულათ. იდეალურათ გადაჭრა მიწის საკითხისა შეუძლებელი იყო. არ გვქონდა სტატისტიკური ცნობები, რომლითაც ვიხელმძღვანელებდით მიწების დარიგების დროს. ჩვენ რომ ეს კითხვაც მაშინვე გადაგვეწყვიტა, ამით ხელს შევუწყობდით იმ ანარქიის გაძლიერებას, რომელმაც დაღუპა მთელი რუსეთის დემოკრატია და თვით რევოლიუცია. მიწის საკითხიდან გამოვყავით ერთი კითხვა, რომლის გადაუწყვეტლობამაც გამოიწვია ექსცესები. ჩვენ ჩამოვართვით მემამულეებს ზედმეტი ნორმა მიწისა, დაუტოვეთ მას შვიდიდან თოთხმეტ დესეტინამდის, იმის მიხედვით, თუ რა დარგის მეურნეობას მისდევდა იგი. მიწების ჩამორთმევით გლეხებმა დაინახეს, რომ რევოლიუცია მზად არის დაიცვას მათი ინტერესები. ჩამორთმეული მიწები გადავიდა საადგილ მამულო ფონდში. ჩვენ არ ვეხებოდით მიწის განაწილებას, ჩვენ ვეუბნებოდით გლეხებს: მიწები ჩამორთმეულია და თქვენ განკარგულებაში არის ერთი წლის ვადით იჯარით, შემდეგ კი ეს საკითხი გადაწყდებაო. გლეხი ელოდებოდა; მიწების ჩამორთმევამ შეიტანა დამშვიდება მასაში, იმედი მიეცათ გლეხკაცებს, რომ მთავრობა ანხორციელებს და ასრულებს მათ მოთხოვნილებას. საჭირო იყო რომ რეფორმის მე-2 მხარეც გადაწყვეტილიყო. როდესაც ჩვენი მიმღები კომისიები ეკითხებოდენ მათ, რატომ მემამულეების ნორმას 7 დესეტინას ჩვენ არ გვაძლევთო, მაშინ იქნებით ჩვენი ინტერესების დამცველიო. გლეხი მოითხოვდა, რომ მიწა მის სრულ განკარგულებაში გადასულიყო; მისთვის გაუგებარია იდეა მიწის მუნიციპალიზაციის. ის ამის გატარებას ვერ ეგუება, მისთვის ეს გაუგებარია. გლეხობა მოითხოვს, რომ მიწა კერძო საკუთრებათ გადავიდეს მის ხელში. რევოლიუციის და აგრარულ საკითხის მტრები მოხერხებულათ სარგებლობდნენ, მემამულეებმა მთელი აგიტაცია აიგეს საადგილ მამულო კომიტეტების წინააღმდეგ. როდესაც დადგა იჯარის საკითხი, გლეხებს ეუბნებოდნენ, ახალი მემამულეები გაგიჩნდათო. ეს სადემაგოგიო მასალათ გამოიყენეს, ჩვენ თუ 10 მან. გახდევინებდით დღიურში, მთავრობა 100 მანეთს გართმევთო. რასაკვირველია, ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია ამისთვის. აგრეთვე უნდა გაგვეწია ანგარიში იმისთვის, თუ როგორ უყურებდა მიწის საკითხს გარეშე ძალა, რომელმაც მოიპოვა გავლენა ჩვენ საზოგადო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ძალის მოსვლის შემდეგ გაძლიერდა აგიტაცია ამ რეფორმის წინააღმდეგ, განსაზღვრული ნაბიჯებიც გადაიდგა. მათ იმედი მიეცათ, რომ შეიქნა ისეთი პირობები, როდესაც მიწის რეფორმის გატარება შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ წინაშე დადგა საკითხი ვეცადოთ ამ რეფორმის გატარებას, თუ დაუყოვნებლივ შევუდგეთ საკითხის გადაწყვეტას. ჩვენ მოვიწვიეთ თათბირი საადგილ-მამულო კომიტეტებისა, რომელმაც ერთხმად დაადგინა: გლეხებს მიწები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გადავცეთ კერძო საკუთრებათ. გლეხებს სწამდათ მიწის რეფორმა იმდენათ, რამდენათაც მათ მიწა მიეცემოდათ. სხვა პოლიტიკური მოსაზრებაც ამას გვიკარნახებდა. თუ გლეხი მიწას მიიღებდა, ის დამცველი იქნებოდა იმ წყობილების, რომელმაც მას მიწა მიაკუთვნა. ეს იყო, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ზომა. მიწის კერძო საკუთრებათ დარიგება უკმაყოფილებას იწვევდა ჩვენს ამხანაგებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია მუნიციპალიზაციის განხორციელება და არამც და არაც არ უნდა დავაქუცმაცოთ ის ფონდი, რომელიც მიიღო მემამულეებისაგან. თუ პროგრამის თვალსაზრისით შევხედავთ ამ საკითხს, ჩვენთვის კერძო საკუთრებათ მიწის დარიგება არ არის უცხო. ჩვენთვის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა მოგვესპო ფეოდალური წყობილების ნაშთი. ამას ნათლად დაინახავთ ჩვენი აგრარულ რეფორმის პროგრამაში. იქ ნათლად აღნიშნულია ის მთავარი მიზანი და მიწის დარიგება რომ არ იყო მთავარი კითხვა, სჩანს იქიდან, რომ სოც.-დემ. ეცდება მუნიციპალიზაცია განახორციელოს და თუ ეს შესაძლო არ იქნება, მაშინ კერძო საკუთრებათ დარიგდესო. დადგა დრო ამ დებულების განხორციელების, მუნიციპალიზაციის გატარება შეუძლებელია სავსებით და ნაწილი მიწების უნდა გადაეცეს გლეხებს.

რა ეკონომიური შედეგები მოჰყვება ამას? შესაძლოა სთქვათ — მარქსისტული თვალსაზრისით ეს რეაქციონური ზომა არისო. ეს იქნებოდა მაშინ, როდესაც ამ მიწებზე დიდი კაპიტალისტური მეურნეობა იყოს. ეს მიწები მუშავდება ისე, როგორც წინათ. წარმოების წესს არ ვცვლით, არსებულ მდგომარეობას ვტოვებთ. გლეხი ამავე მიწას იღებდა მემამულესაგან და იჯარით ამუშავებდა. თუ ეხლა მივცემთ მას კერძო საკუთრებათ, ჩვენ მეურნეობის შინაურ სფეროდან არ ჩამოვდივართ დაბლა. პირიქით, ეს ბატონყმური იჯარა ხელს უშლიდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას. ჩვენ გადავცემთ რა მიწას გლეხკაცებს, არავითარ შედეგს ადგილი არ ექნება და გაძლიერდება ჩვენში ძვირფასი კულტურული მეურნეობა. გარდა იმისა, რომ ეკონომიურ თვალსაზრისით არის მისაღები კერძო საკუთრებათ მიწების დარიგება, ეს მისაღებია აგრეთვე პოლიტიკური თვალსაზრისითაც. გლეხკაცობას გახდის ერთგულ დამცველებათ ჩვენი პოლიტიკურ წყობილებისა. გლეხებს არ სჯერათ, რომ მიწა მათი იქნება სანამდის მას საკუთრებათ არ ჩააბარებ ამ მიწას, რაკი ის მიწას საკუთრებათ მიიღებს, იგი მისი დამცველიც იქნება. მიუხედავათ მემამულეების სიძულვილისა, მიუხედავათ იმისა, რომ აკრძალულია მიწების ყიდვა-გაყიდვა გლეხი მიდის და ყიდულობს მამულს. ჩვენ სამინისტროში ამის შესახებ აუარებელი ფაქტები მოგვეძებნება. ჩვენ, რასაკვირველია, ასეთ ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ მივიღეთ ზომები. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ თუ მიწის საკუთრება არ დაუკანონეთ გლეხს, შესაძლებელია მან უარჰყოს ჩვენი პოლიტიკა და მხარი დაუჭიროს მას, ვინც მიწის მიცემას კერძო საკუთრებით დაპირდება. ჩვენ გამოვიჩენთ დიდ უტაქტობას, თუ ამას ანგარიში არ გაუწიეთ. აგრეთვე ფრიად ყურადსაღები კითხვა არის, რა ნორმით მივცეთ მიწა, ფასით თუ უფასოთ.

ის სტატისტიკური ცნობები, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, ასეთია: თფილისის გუბერნიაში თითო კომლზე მოდის 6 დესეტინა. ჩამორთმეული მიწებით დაახლოვებით 10 დესეტინა. აქედან სახნავ-სათესი მიწა ნახევარია. ქუთაისის გუბერნიაში მდგომარეობა უარესია. კომლზე დაახლოვებით 1,15 დესეტინა მოდის, ჩამორთმეულით 3,08, სულ 4,24 დესეტინა მოვა, გაყოფთ შუაზე და მიიღებთ იმ მცირე ნორმას, რომლითაც დაკმაყოფილება ძლიერ ძნელია. ეს საშუალო ციფრი არის. არის ზოგი ერთი მაზრები, მაგალითად შორაპნის, სადაც კომლზე ორ ქცევაზე მეტი მიწა არ მოეძებნება. ყველა ჩამორთმეულ მიწებით ვერ დავაკმაყოფილებთ გლეხობას, ამიტომ უნდა დადგეს ახალი ფონდის საკითხი. ჩვენ გვაქვს ჰაობებიანი ადგილი, რომლის ამოშრობასაც დიდი ფული დასჭირდება. სიღნაღის მაზრაში არის სარწყავი მინდორი შირაქის ველი 80 ათასი დესეტინა, ყარაიაზის ველი. ეს ადგილები საჭიროა გადავაქციოთ სახნავ სათეს ადგილებათ. სოფლის მეურნეობა უმიწაწყლო გლეხს არ აძლევდა ხარჩოს, რომ ადგილობრივ გაჩერებულიყო. ის სამუშაოთ სხვაგან მიემგზავრებოდა. აი ამ მინდვრების დამუშავებას მოუნდება ეს მუშა ხელი. ამას ფული ესაჭიროება, და ეს ფული კი ხაზინას არ გააჩნია. არის სხვა მოსაზრებაც, რომელიც გვკარნახებს მიწის ფულით გადაცემას. ყველამ კარგათ იცის ხაზინის მდგომარეობა და იცით აგრეთვე როგორ ეცემა ფულის კურსი. თუ ხაზინამ ვერ იშოვნა თანხა ხარჯების დასაფარავად, ამ გზით სიარული მიგვიყვანს გაკოტრებამდე. დღეს გლეხობის ხელშია შეგროვილი თანხა, მთელი ფული გადავიდა გლეხის ხელში, გლეხის ხელში გადადის, რასაკვირველია, არა თანასწორათ: ზოგს მეტი აქვს ფული, ზოგს ნაკლებათ. გარდა იმ საერთო მიზეზების, რომ ცხოვრება გაძვირდა და 10 მანეთიანი საქონელი ფასობს 100 მან. ამის ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ აქნობამდის ვერ შევქმენით ფულის სისტემა; მხოლოდ ბონების საბეჭდავ მანქანას ვატრიალებთ განუწყვეტლივ, რითაც ფასს ვუკარგავთ მის ყოველივე ღირებულებას. თუ ნაწილი ამ ფულისა უკან არ დავაბრუნეთ ხაზინაში, შეუძლებელია ისე ჩვენი ფინანსიური კრიზისის თავიდანაცილება. აგრეთვე სრულიად მიუღებელია, რომ ერთმა ნაწილმა მიიღოს უფასოთ ის, რაც მთელი ხალხის კუთვნილება არის. ეს სამართლიან პრინციპის ღალატი არის. ნაყოფი ამ სიმდიდრისა უნდა იგემოს მთელმა ხალხმა. არ არის ისეთი უფლება, რომ მიწა ეკუთვნოდეს მთელ საზოგადოებას და ეძლეოდეს ნაწილს მიწა უნდა გადაეცეს მცირე მიწის პატრონით. თითონ გლეხობას არ სწამს მიწის მიღება უფულოთ. ის თავისათ სთვლის ისეთ მიწას, რომელშიაც ან ფული დაუხარჯავს ან შრომა. არის მიწები, საცდელი კულტურული მამულები, რომლის დარიგებაც შეუძლებელია, ეს მამულები უნდა გამორიცხულ იქნას დასარიგებელ ფონდიდან. თუ სახნავ მიწებს უფასოთ დავარიგებთ, მაშინ მოისურვებენ ყველა არსებულ მიწების დარიგებას. მაშინ რა საბუთით ვტყვით, რომ ამ მიწებს არ მოგცემთო, როცა მას ფასს ვართმევთ. მის შეგნებაში ჩვენ მესაკუთრენი ვართ, სასახელმწიფო არის პატრონი მიწების. თუ გლეხს მიწა მუქთად დაურიგდა, ეს გახდება მიზეზი ყოველივე ანარქიისა, მის შეგნებაში არ იქნება პატრონი მიწის, და მის დატაცებასაც კანონიერათ ჩასთვლის. მიწები უნდა მიეცეთ გლეხებს საკუთრებათ, რაც შეიძლება შეღავათიან ფასებში. უნდა გადავახდევინოთ 1/5 ან 1/6 იმ ფასების მიხედვით, რომელიც დღეს არის. ესე იგი, დესიატინა 500—1000. მანეთამდე. ეს არ არის დიდი ფასი დესიატინაზე დაახლოვებით მოდის 70 ფუთი, ერთი მეათედი ნაწილი 7 ფუთს უდრის. პური კი ფასობს რვა-ცხრა თუმანი. აი ამ ერთი მეათედის ფასით იძენს გლეხი სამუდამოთ მიწას. ჩვენ შეძლებას მივცემთ უმიწაწყლო გლეხს ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ფული. ჩვენ მიწების განაწილება გვინდა ასე მოვაწყოთ: მთელი სახელმწიფო იყოფა აგრონომიულ რაიონებათ, ყველა რაიონებს თავის საზღვრები ექნება.

ამ აგრონომიულ რაიონებში დაარსდება კომისიები, რომლებიც მოაგვარებენ მიწის დარიგების საქმეს. ეს კომისიები იქნებიან სოფლის საზოგადოების მიერ არჩეულნი, ერობა აძლევს ამ კომისიებს თავის ხარჯით ინტელიგენტ ძალებს, რომლებიც ეხმარებიან კომისიას საქმის წარმოებაში. ამ კომისიებს ხელმძღვანელობას გაუწევს ერობა. ის აძლევს საბუთს გლეხს მიწის ყიდვისას. ნატარიუსის წიგნებში შედის მხოლოდ აღსანიშნავათ. ეს ყველაფერი სწრაფად მოხდება, არ იქნება საჭირო ნოტარიუსის მიერ დამტკიცება და მიწის ყიდვა იქნება დადასტურებული ერობის მიერ. მიწა ნაწილდება უმიწაწყლო და მცირემიწებიან გლეხებში. მიწის ფასი იქნება 500 მან.—1000 მან. ამ ფასებს აწესებს სამინისტრო რაიონების მიხედვით. სამინისტროს ექნება ნაანგარიშევი ჯამი იმ ფულებისა, რომელიც უნდა შემოვიდეს ხაზინაში. მხოლოდ ადგილობრივი კომისიები თითონ დააწესებენ ფასებს საერთო ნავარაუდევ ჯამის ფარგლებში მიწის ღირსების მიხედვით. ვინც უკეთეს მიწას მიიღებს, მეტს გადაიხდის, ვინც მდარეს, ნაკლებს. ახლა გაგაცნობთ, თუ როგორ მდგომარეობაში არის მიწის ჩამორთმევის საქმე, ორივე გუბერნიაში 20 ოქტომბრამდე 225 ათასი დესეტინა მიწაა ჩამორთმეული. ეს ცნობები არაა სწორეთ, რადგანაც ზოგიერთი ცნობები მიწის ჩამორთმევის შესახებ, არ მოგვსვლია, უნდა ვიანგარიშოთ, 300000 დესეტინა; რომელიც უკვე იქნება ჩამორთმეული. ჩამოსართმევი არის სულ 710 ათასი დესეტინა. აქედან ხედავთ, რომ ბევრი არ ჩამორთმეულა მიწა ჯერ. ამის მიზეზი ის არის, რომ ადმინისტრაცია არ არის სათანადოთ მოწყობილი, აფერხებს საქმეს მიმოსვლის მოუწყობლობა; უფულობაც აფერხებს საქმეს. ვერ ვაწვდით ფულს მომუშავეებს დროზე. ეს არის მიზეზი, რომ ასეთი ნელი ტემპით მიდის ჩამორთმევის საქმე. პირველ დღიდანვე დადგა ასეთი კითხვა, როგორ უნდა შევხედოთ იმ მიწებს, რომელიც არ ჩამოგვირთმევია, შეუძლიათ თუ არა მემამულეებს ღალების ღება. 9 მარტის კანონით მემამულეებს არ აქვთ არავითარი ფორმალური უფლება ღალების გადახდევინებისა. ზოგიერთმა მემამულემ მოინდომეს ამის დარღვევა და ამის გამო ციხეებშიაც მოხვდენ. აგრარულ რეფორმის მტრები აგიტაციას ეწევიან მის წინააღმდეგ. მიწის საკითხის გადაწყვეტას დამარცხებულათ სთვლიან. ჩვენ მემამულეებს სავსებით ხელი ავიღებინეთ მიწებზე, არ მივეცით საშუალება კანონი გაებათილებინათ. ესაა მიზეზი იმ უდიდესი გამწვავებისა და აგიტაციისა, რომელიც სწარმოებს ამ რეფორმის შესახებ. ამხანაგებო, თქვენ არ უნდა დაკმაყოფილდეთ იმ მიწის კომისიებით, რომლებიც მოვლენ სოფლათ მიწების მისაღებათ, თქვენ ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღოთ ამ რეფორმის გატარებაში და იმედიც გვაქვს, რომ ეს გატარდება და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

(შემდეგი იქნება)

მისალმების დეპეშები.

მე-8 ყრილობამ სოც. დემ. პარტიისამ შემდეგი მისალმების დეპეშები გაუგზავნა:

გერმანიის სოციალ-დემოკრატიას.

ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა მერვე სიეზდი, გერმანიის რევოლუციის გამარჯვების ჟამს, მხურვალე სალამს უძღვნის გერმანიის პროლეტარიატს და მის ს.-დ. პარტიას, რომელმაც ითავა დიადი საქმე მონარქიის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისა, რომ ამ გზით იხსნას ქვეყანა ომის მიერ გამოწვეულ საშინელებათაგან და იმპერიალიზმის მუხრუჭებისაგან. სიეზდი გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ გერმანიის პროლეტარიატი მიაღწევს თავის საბოლოო მიზანს, სოციალიზმს დემოკრატიზმის საშუალებით.

ინტერნაციონალს.

მერვე ყრილობა ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებისა, შეკრებილი იმ დროს, როცა ოთხი წლის ძმათა შორის სისხლის ღვრის შემდეგ, რომელმაც გაითიშა, პირველად შეწყდა სისხლის ღვრა ფრონტებზე, თავის ძმურ სალამს უძღვნის საერთაშორისო პროლეტარიატს, მისი ცენტრალური ორგანოს სახით. ყრილობას მტკიცეთ სწამს, რომ ახლოა ინტერნაციონალის აღდგენის ხანა, რომლისგანაც კაცობრიობა მოელის იმ ჭრილობების განკურნვას, რომელიც მას საზარელმა იმპერიალისტურმა ომმა მიაყენა.

ყრილობას სწამს, რომ განახ. ინტერნაციონალი შესძლებს გადასჭრას საკითხი, რომელიც ისტორიული მსვლელობით დასმულია დღის წესრიგში—საკითხი მშრომელთა სრული განთავისუფლებისა და სოციალიზმის დამყარებისა.

რუსეთის სოც.-დემ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს.

მერვე ყრილობა ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციებისა სალამს უძღვნის რუსეთის სოციალისტურ პროლეტარიატს თ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახით.

საერთაშორისო, ძმათა შორის სისხლის მღვრელ ომის გათავების ჟამს, როცა უკვე გაჩნდა განთიადი ინტერნაციონალის ბრწყინვალე დღესასწაულისა, ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის პროლეტარიატი თავს დააღწევს იმ მძიმე გასაჭირს, რომელიც მას მიაყენა ომმა და დემოკრატიის დამარცხებამ, ორმა უბედურებამ, რომელთა ასაშორებლად თავის დროზე ინტერნაციონალს არ ჰქონდა საკმაო ძალა. ჩვენ გვწამს, რომ ახლა ინტერნაციონალის აღდგენასთან ერთად აღსდგება რუსეთის სოციალ-დემოკრატია და პროლეტარიატი, დაამარცხებს იმ გაბოროტებულ ძალებს, რომლებმაც დაშალეს დემოკრატიის ძალები და დაიჭერს ღირსეულ ადგილს საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელსაც სწორე გზით მივყავართ სოციალიზმისკენ.

გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 15 ნოემბერი.

ნემეცური ავსტრია და გერმანია.

ნემეცური ავსტრია საბოლოოდ შეუერთდა გერმანიის სახელმწიფოთა კავშირს.

ოლდენბურგის სამთავროში.

ოლდენბურგის ჰერცოგი გადადგა; იქაც გამოცხადებულია რესპუბლიკანური წყობილება ისევე, როგორც გერმანიის სხვა ნაწილებში.

დამფუძნებელი კრების მოწვევა გერმანიაში.

გერმანიის სოციალისტურმა მთავრობამ დაადგინა მოწვეულ იქნას სრულიად გერმანიის დამფუძნებელი კრება (ეროვნული ყრილობა) ამ გადაწყვეტილებას მხარს უჭერს აგრეთვე დამოუკიდებელი სოციალდემოკრატიული პარტია. გაზეთი „ფორვერტსი" მთელ რიგ წერილებში ამტკიცებს, რომ გერმანიაში ბოლშევიზმს ნიადაგი არა აქვსო.

დროებითი ზავის პირობების შემსუბუქება.

გერმანიისთან დადებული დროებითი ზავის პირობები მცირედათ შემსუბუქებულია. ეს შემსუბუქება გამოიხატა შემდეგში: 1) გაგრძელებულია ვადა დასავლეთის ფრონტის ევაკუაციისა; 2) საზღვაო ბლოკადა ნაწილობრივ მოიხსნა; 3) აღმოსავლეთით ჯერჯერობათ გერმანიის ჯარები რჩება.

აგრეთვე რეინის სანაპიროებზე დაკავებულ იქნება არა მთელი ტერიტორია, არამედ მხოლოდ ციხეები.

საბოლოო ზავი.

გერმანიის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ზოლფმა მიმართა ვილსონს თხოვნით, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქნეს სამშვიდობო კონგრესი, რომ შეიკრას საბოლოო ზავი.

ჯერ მოწვეულ იქნება ახლო მომავალში გერმანიის დამფუძნებელი კრება და შემდეგ კი—საზავო კონგრესი.

საქართველოში მყოფი გერმანული ჯარების საბჭო.

საქართველოში მყოფ გერმანელთა ჯარებს გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ გენ. კრესსმა დელეგაციის წევრთა თანხლებით გადასცა კოვნოს ჯარისკაცთა საბჭოს ბრძანება ჯარისკაცთა საბჭოების დაარსების შესახებ და წინადადება მისცა აქაც აერჩიათ საბჭო. ჯარისკაცებმა ამის თაობაზე მსჯელობა გამართეს, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა. იყო ისეთი აზრიც, რომ აქ საჭიროება არ მოითხოვს ამისთანა საბჭო დაარსდესო. გადაწყდა დაარსდეს საქართველოში მყოფ გერმანელ ჯარების საბჭო, რაც უკვე ფაქტია.

ჯარების წასვლის საკითხი.

გუშინ, 14 ნოემბერს, გემით სევასტოპოლში გაემგზავრა კომისია, რომ გამოარკვიოს სატრანსპორტო პირობები. კომისიამ უნდა გამოარკვიოს, თუ რა პირობებში შეიძლება უკრაინით ჯარების გაგზავნა. ჯერ-ჯერობით კი დელეგაციას ახალი მთავრობიდან ბრძანება არ მოსვლია ჯარების გაგზავნის შესახებ.

დელეგაციის სახელწოდება.

გერმანიის ახალი მთავრობის ბრძანებით დელეგაციას ერქმევა „გერმანიის დელეგაცია". სიტყვა, საიმპერატორო, მოხსნილ იქნა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 ნოემბერი

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. გერმანიაში გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი პირდაპირ მავთულით ესაუბრა დეპუტატ ოსკარ კონს, გერმანიის ამბების შესახებ. საუბარიდან შემდეგი გამოირკვა: ახალი მთავრობა შესდგა დამოუკიდებელთა და შეიდემანელთა შეთანხმებით. კაბინეთში თანასწორი უფლებით შედის 6 კაცი. მთავრობაში დამოუკიდებელთა მხრით შედის: ჰააზე, დიტმანი და ბარტი. შეიდემანელთა მხრით: ებერტი, ლანდსბერგი და შეიდემანი.

ბერლინის საბჭოს თავმჯდომარეთ აქამდე ბარტი იყო. სპარტაკის ჯგუფი მთავრობაში არ მონაწილეობს. მოკლე ხანში შესდგება სრულიად გერმანიის საბჭოთა ყრილობა. სპარტაკის ჯგუფმა გამოსცა გაზეთი „წითელი დროშა". მთავარმა შტაბმა სცნო საბჭოები. გერმანიის ჯარი სტოვებს დაპყრობილ ადგილებს. რუმინიამ გერმანიას ომი გამოუცხადა. დამოუკიდებელნი მოითხოვენ იოფფეს დაბრუნებას ბერლინში. რუსის სამხედრო ტყვეების გასაგზავნათ ზომებია მიღებული. დამოუკიდებელთა და შეიდემანელთა შეთანხმების პროგრამა შემდეგია: 1) პოლიტიკური ძალა უფლება საბჭოთა ხელში უნდა იყოს, 2) რევოლუციის მიზანია დამფუძნებელ კრების მოწვევა, შესდგეს გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკა. შესაძლებელია ბურჟუაზიასთან შეთანხმება არ მოხდეს. კაბინეთში მყოფ ყოველ არა სოციალისტ-მინისტრთან ერთად მუშაობს ორი პოლიტიკური კომისარი. ბერლინში მიემგზავრება ზინოვიევი, რადეკი და პეტროვი. ყოველ დღე 8 საათზე ჩიჩერინი პირდაპირ მავთულით ილაპარაკებს ბერლინთან ნაუენი. გამბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს ცნობა მოუვიდა, რომ ფრონტზე დაარსდა საბჭოები. ჯარისკაცთა საბჭოს კავშირი ექნება ფელდმარშალ ჰინდენბურგთან, რომელსაც წარუდგენენ თავის მოთხოვნილებას. შესდგა კულტურულ მომუშავეთა საბჭო. საბჭოს მიზანია სოციალისტურ რესპუბლიკის დარაჯობა.

გერმანული პრესის ცნობები.

ნეიტრალური პრესა, როგორც გერმანიის პრესა, აღნიშნავს რომ მოკავშირეთა დროებითი ზავის პირობები მეტათ მძიმე და აუტანელია. მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის მიმართულია ძველი მთავრობის კი არა, გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ახლა თვით განაგებს თავის საქმეს. გაზეთ „სოციალ-დემოკრატენში" ბრანტლინგიც კი უწოდებს მას „საშინელს" და გამოსთქვამს იმედს, რომ მოკლე ხანში ბლოკადას მაინც მოხსნიან. გაზეთები ერთ და იმავე აზრის არიან დროებითი ზავის პირობებზე. „ფადერლანდი" სწერს: „შეუძლებელია ამაზე უფრო მძიმე პირობების წამოყენება. თუ ზავი ისეთი უნდა იყვეს, როგორც ვილსონმა წამოუყენა, ზავი დამყარებული სამართლიანობაზე და ხალხთა შერიგებაზე, რომელიც იწყებს ძმათა კავშირის ხელჩაკიდებულ მუშაობის და წესწყობილების შეცვლის ხანას, იმ შემთხვევაში კონგრესს სხვა გვარი სულისკვეთება უნდა ამოქმედებდეს და არა ისეთი, რომელიც დროებითი ზავის პირობებშია". „ნიუ-როტერდამშე-კურანტი" სწერს: „დროებითი ზავის პირობები შემუშავებულია მანამდე, სანამ გერმანიაში რევოლუცია დასრულდებოდა. ამ ხანათ ეს პირობები მიუღებელია, გერმანიის მთავრობამ შვეიცარიის მთავრობის შუამდგომლობით, ამერიკის შეერთ. შტ. მთავრობას შემდეგი ნოტა წარუდგინა: „ეხლა, როდესაც დროებითი ზავი ჩამოვარდა, გერმანიის მთავრობას აუცილებლათ მიაჩნია სთხოვოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს ზავზე მოლაპარაკება დაიწყოს. საქმის დაჩქარებისათვის გერმანიის მთავრობა წინადადებას იძლევა შეკრან წინასწარი ზავი და აცნობოს ადგილი და დრო, თუ სად და როდის დაიწყება მოლაპარაკება. იმის გამო, რომ შესაძლოა სურსათის საკითხმა მდგომარეობა გაამწვავოს და ცუდი შედეგი მოიტანოს, გერმანიის მთავრობა დაუყოვნებლივ ზავზე მოლაპარაკების დაწყებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს.

სტრასბურგიდან მოსული ცნობების თანახმათ, ელზასის მეორე პალატამ თავის თავი გამოაცხადა ელზას ლორენის ეროვნულ საბჭოთ და თავის წრიდან დროებითი ადმინისტრატიული კომიტეტი აირჩია.

ჰოლანდიის სოციალისტურ მუშათა პარტიის ორგანო გამოსთქვამს იმედს, რომ სოციალისტური იდეა გავრცელდება გერმანიის საზღვარს იქით. გაზეთი სწერს: ეჭვი არაა, რომ გერმანიის რევოლუცია გავლენას იქონიებს ევროპის სხვა სახელმწიფოებზედაც. ყველა ქვეყნის მუშას გადაწყვეტილი აქვს მიემხროს გერმანიის სოც.-დემ., რომელმაც თავის თავზე დიდი საქმე იკისრა. კაპიტალისტურმა სისტემამ საუკუნოთ დაჰკარგა ხალხში ავტორიტეტი.

ლოიდ ჯორჯის უკანასკნელ სიტყვის გამო გერმანიის ახალი მთავრობის წევრმა შეიდემანმა სთქვა: „ლოიდ ჯორჯი ამყარებს თავის ტრიუმფს გერმანიის უმწეო მდგომარეობაზე. მას სურს გერმანიის ხალხის სრული განადგურება, რადგან გერმანიის ხალხი, მისი აზრით, პასუხისმგებელია თავის ძველი მთავრობის მაგიერ. მასთან ერთად ლოიდ ჯორჯი ქებით იხსენიებს ინგლისის ხალხის და ბრიტანიის იმპერიის ერთსულოვნებას, რომელიც მისი აზრით, მხარს უჭერს თავის მთავრობის სამხედრო პოლიტიკას. ორივე მოსაზრება სიმართლეს მოკლებულია. ლოიდ ჯორჯმა კარგათ იცის, რომ გერმანიის მასა და ძველი მთავრობის უმეტესობაც არა თუ უკმაყოფილო იყო ჯარის უფროსების პრინციპებით, არამედ ძალიან ხშირად, აშკარად ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ. ლოიდ ჯორჯმა ისიც იცის, რომ ინგლისში არ არსებობს მთლიანობა და ერთსულოვნება ინგლისის ხალხში, ჯარში და ფლოტში არის ის კონტრასტი, რომელიც გერმანიის უფროსებსა და ხელქვეითებს შორის არსებობს. გამლიერების პოლიტიკაში.. (შემდეგი დამახინჯებულია). კაპიტალიზმის და ნაციის, რომელიც ცუდ მდგომარეობაშია იმის გამო, ის აიძულეს ებრძოლოს მოძმე ერებს, მით უფრო რომ ინგლისში ჯერ კიდევ სცოცხლობს იმის მოგონება, როცა მოქალაქეობრივი თავისუფლება არ გამხდარა მილიტარიზმის მსხვერპლი. მან დაუფარავად აღიარა, რომ ზავის ჩამოგდება, რომელიც გერმანიის ხალხს სურს, განგებ დააგვიანა იმიტომ, რომ გერმანიის წესწყობილება დაენგრია შინაურ გალატაკებს. გერმ. ხალხმა ამ დიად დროში უნდა დაუმტკ. ლოიდ ჯორჯს, რომ მის მიერ მიღებული წყობილება შეეფერება ამ საშინელ მოთხოვნილებას. მთელი ქვეყნის განთავისუფლების დროს ინგლისის და მათ მოკავშირე ხალხმა უნდა გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი თავის იმპერიალისტურ მთავრობასთან. შემუშავებული დროებითი ზავის პირობები, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია მთელის ტექსტით და შეიცავს 35 პუნქტს, გერმანიის პრესა უკმაყოფილოა.

200 ობოლი ბავშვი

მესხეთ ჯავახეთის ტრაგედია ჯერაც არ დასრულებულა. ოსმალთა შემოსევისაგან გადმოხვეწილი ხალხი შეხიზნულია ეხლა უკვე თოვლიან ბორჯომის ტყეებში და უცდის როდის გაიხსნება გზა, როდის ეღირსება მშობლიურ ქოხში მისვლა, რომ დაამოს ყინვისაგან დამზრალი ძვლები, უშველოს თავის ორიოდე პირმშოს, რომელნიც რაღაც განგებით ჯერ კიდევ გადარჩენიან საშინელ განცდას. მაგრამ ამაოა ლოდინი. დღითი-დღე ესალმებიან წუთი სოფელს უკანასკნელი მესხები და ჯავახები, განაწამები ლტოლვილთა სული, სამშობლოსკენ რომ მიისწრაფის, სტოვებს ბორჯომის ტყეებში თავის ჩონჩხათ ქცეულ სხეულებს და მრავლდებიან ყოველ დღე ძმათა საფლავები, თითქო ომი ყოფილა, დაუნდობელი ომი და შთამომავლობას მოწამეთ ამ ომისა რჩება დაუსრულებელი აკლდამები ტყეში გაჭრილ საფლავებისა.

რჩებიან ობლები, უპატრონო ობლები. გუშინ მათ მშობლები ეხვიათ გარს, თვალცრემლიანი მშობლები. უმიდო ბავშვს, აკანკალებულს სიცივისაგან და ღონე მიხდილს შიმშილისაგან, დედა მაინც მიიკრავდა მშობლიურ გულზე, ალერსით დაატკბობდა მწარე ტკივილებს; ამაყი მამა, რომელსაც არ უყვარს თავის მოხრა გაჭირვებისათვის, ეტყოდა ნუგეშს, მარა დღეს ვინ უნდა უპატრონოს ობლებს, რომელთაც დაკარგეს დედები და მამები; დარჩნენ ტყეებში და ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია ბავშური მოთქმა, ვისაც ძალუძს ცრემლთა ფრქვევა, სტირიან, ევედრებიან ყველას.

მიდიხარ ბაკურიანით ახალქალაქის გზაზე, რომელიც მოკირწყლულია ცხოველთა ძვლებით და გასწვრივ კი მას ამშვენებს დაუსრულებელი ჯვრები უპატრონოთ დახოცილთა. ეს სამგლოვიარო არშიაა იმ ტანჯვით სავსე გზისა, რომელზედაც გაიარა აოხრებულმა მესხეთმა და ჯავახეთმა.

ვინ იცის რამდენი ძველი საფლავია ამ საფლავთა ქვევით. აქ ხომ საუკუნეების განმავლობაში ილუპებოდა მესხეთის კულტურა, ბარბაროსის ხელი კლავდა ხალხის სიცოცხლეს და მომავალს უტოვებდა მხოლოდ ნანგრევებს. და ახალი საფლავები კი მხოლოდ განახლებული ცრემლია უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში პირწამშრალ საფლავებისა.

და აი, ამ გლოვით სავსე მხარეში საფლავებ შორის, ვით მოჩვენება დაძრწიან ობლები, ტიტველი, მშიერი ობლები. ოდეს მგზავრი გაივლის აქ, ხელაპყრობით მივარდებიან მას და სთხოვენ დახმარებას, შველას.

ობოლი ბავშვი დაეძებს დედას, ეძახის მამას.

ყრუა საფლავები ამ წმინდა გამოძახილზე. შეიძლება ობოლი ბავშვიც გრძნობს, რომ ვერ გაიგონებს ამ მწუხარე ხმას მისი დედის ჩონჩხი, ვერ იგრძნობს მისი აღმზრდელი ძუძუს პირმშოს ტანჯვას. მაგრამ ობოლი ეძახის სხვა დედას, ის მოუხმობს პატრონს.

მაგრამ თუ გინდათ უფრო ძლიერათ იგრძნოთ ეს მწუხარება, თუ გინდათ უფრო გაიგოთ დაღუპული ხალხის უბედურება, გეჰყევით ბორჯომით აწყურის გზას. მუხლები მოგეკვეცებათ, ხმას ვერ ამოიღებთ. გეშინიათ არ შეარხიოთ საშინელი ჰრალობები ამ უბედურ ხალხისა. აი მოხუცი, ყავარჯნით ხელში ძლივს მიაბიჯებს, მკვდარის სურათია მისი სახე და ვერც ახერხებს ლაპარაკს, მაგრამ მაინც უნდა გითხრას „ბლარებზე", უპატრონო ობლებზე.

— უშველეთ ამ ბლარებს მაინც, იქნებ მომგონებელი მაინც დარჩეს უბედურ მესხეთს და ჯავახეთს—ამბობენ გზირათ ქცეული ქალები და კაცები.

და ყველა ამ ადგილებიდან თავს უყრიან ობლებს ბაკურიანის თავშესაფარში. ექიმი გულისაშვილი და ჟორდანია დაეძებენ ტყეებში მათ და დღეს ერთ ბინაზე 100 ობოლი ყავთ, რომელთაც გულმოდგინეთ უვლის, როგორც თვის პირმშო შვილებს, მოწყალების და.

აწყურის რაიონშიც ამდენივე მოგროვდა. ისინიც უნდა გავამგზავროთ ბაკურიანის თავშესაფარში. მაგრამ ეს ვერ უშველის ობლებს. საჭიროა მათთვის მშობლების, მუდმივი მზრუნველის მონახვა. უნდა შევასრულოთ მოხუცის თხოვნა: „მესხ ჯავახელებს მომგონებლები მაინც აღუზარდოთ".

ობლების მშობლები დღეს მთელი საქართველოა. ჩვენ უნდა მივიკრათ გულზე უპატრონო ბავშვები, უძლურს ძუძუ ვაწოვოთ, ხოლო შკოლის კარს მოწყვეტილს განათლების ტაძრებში ბინა მივსცეთ.

ბაკურიანში უკვე ყინვებია. თავშესაფარს სახსარი არა აქვს. საჭიროა სახელმწიფომ მიიღოს თავზე ობლების აღზრდა.

ჩვენ ყველაფრის მოვიწყვება ვიცით. ვიგრძნობთ ერთხელ, ცრემლებს დავღვრით, მერე შემდეგ კი დაგვავიწყდება უპატრონონი, უფრო დიდი საქმეები დაჩრდილავს პატარა ობლებს, მაგრამ მომავლის ძლიერ მოციქულებს

რაც უნდა დიდი საქმე გქონდეთ, მოქალაქენო, რაც უნდა გაჭირვება გადგეხ საქართველოს მთავრობავ, ნუ დაივიწყებთ, რომ ბაკურიანში 200 ობოლია, უპატრონო ობოლი, რომელნიც გთხოვენ დახმარება აღზრდას, რომ გამშვენიერებულნი დაუბრუნდნენ თავის საყვარელ მესხეთს და იხ ნანგრევებიდან აღადგინონ.

ლ. რ—ძე.

ახალი ამბები

ინგლის-საფრანგეთის მისია. 14 ნოემბერს, ბათომიდან თფილისში ჩამოვიდა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიური მისია. მისიაში შედის 5 წევრი.

◆ **სტამბოლიდან** გუშინ თფილისში ჩამოვიდა საქართველოს დელეგაციის წევრი გ. გვაზავა.

◆ **არდაგანის ლტოლვილები.** რუსეთა ეროვნულმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ დაუბრკოლებლივ გაშვებულ იქნას კავკავში ის 160 ლტოლვილნი, რომელნიც არდაგანის ოლქიდან წალკით კავკავში მიდიან 25 ფურგუნით.

◆ **საქართველოს რკინის გზის უფროსის** განკარგულებით, ყველა საქონელი, რომელიც ნატანებში იგზავნება ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის სახელზე, მიღებულ იქნება გადასაზიდად საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის უნებართოდ.

◆ **გორის მაზრის** ეროვნ ხმოსანთა წინასწარი თათბირი შესდგება კვირას, 17 ნოემბერს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** ქართულ განყოფილების ლექტორთა კოლეგია თხოვნით მიმართავს წევრებს და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ქართულად ლექციების კითხვის სურვილი აქვთ (განსაკუთრებით გეოგრაფიისა და უფლების მეტყველებაში)—დღეს, 16 ნოემბერს, სრულს 6 საათზე, გამოცხადნენ უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში (მიხეილის პრ. № 91) ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გასარჩევათ, პროგრამის შესამუშავებლათ და ლექციების გასაწესრიგებლათ. ყველას დასწრება აუცილებლათ საჭიროა დანიშნულ დროს, რათა კრება მოთავდეს და ლექტორებს შეძლება მიეცეთ სახალხო სახლში მნიშვნელოვან მუშათა საბჭოს კრებას დაესწრონ.

◆ **ქართული ლატარია.** სერგო აბრამის ძე ნასიძის გარდაცვალების გამო ქ-ბ. ნ. გაბაშვილისამ გვირგვინის ნაცვლად მის შვილებს გადასცა 200 მ. ქართულ ლატარიის ბილეთი.

— ქართულმა კლუბმა დაადგინა შეიძინოს 10,000 მან. ბილეთი.

— კვირას, 17 ნოემბერს, ქ. გორს მიემგზავრება გამგე დირექტორი ლატარიისა სოლ. ახვლედიანი, ადგილობრივ კომიტეტის შესადგენათ.

◆ **რევიზია.** სახელმწიფო სასწავლებელთა ზოგმა დირექტორმა უკვე დაამთავრა თავის სასწავლებლების რევიზია, რის გამო სათანადო მოხსენება წარმოადგინეს განათლების სამინისტროში.

◆ **დილა.** კვირას, 17 ნოემბერს, დღის 12 საათზე ორთაჭალის მუშათა კლუბში გაიმართება საბავშვო დილა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ საღამოს წარმოდგენილი იქნება დრამა „ბედს ვერ წაუხვალ". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ქურდობა. 14 ნოემბერს, ღამით ბოროტმოქმედებმა გასტეხეს ბარუხ-იბრაგიმოვის სამანუფაქტურო მაღაზია და წაიღეს 60,000 მანეთის სხვადასხვა საქონელი.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრმა** გადასცა საგარეო საქმეთა მინისტრს იმ ინციდენტის აქტი, რომელიც მოხდა ქართველ მილიციონერთა და სომხეთის იარაღის საწყობის დარაჯთა შორის.

◆ **თავდასხმა.** 14 ნოემბერს, ღამით იარალოვის ბინიდან კატლავერის ქუჩა, წაიღეს 90,000 მანეთი ფულად და სხვა და სხვა ნივთები. დადევნების დროს ბოროტ-მოქმედებმა დასჭრეს ერთი სახალხო გვარდიელი და მიიმალენ.

◆ **ახალი ჟურნალი.** კვირას, 17 ნოემბერს გამოვა ახალი პოლიტიკური და სამხედრო ჟურნალი „ჯარი და ერი". ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, მწერლები და სამხედრო სპეციალისტები.

რევოლიუცია გერმანიაში

(გაზეთებიდან).

დამოუკიდებელთა მოწოდება.

ბერლინი, 9 ნოემბერი. დამოუკიდებელ სოციალდემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმმა და რეიხსტაგის დამოუკიდებელ სოციალისტთა ფრაქციამ შემდეგი მოწოდებით მიმართა გერმანიის მუშათა კლასს:

„მილიტარიზმის სისტემას ისეთი მარცხი მოუვიდა, რომლისაგანაც ის ვეღარ გამოსწორდება. იმპერიალიზმი ჩვენში დაეცა. დემოკრატიზმისა და სოციალიზმის იდეა წინ მიდის გამარჯვებული. დამოუკიდებელი სოციალდემოკრატიული პარტია იმ თავითვე ამჩნევდა, რომ იმპერიალიზმს კატასტროფა უნდა დამართნოდა. ეს ერთად ერთი პარტია იყო, რომელმაც ხმა მისცა ბრესტ-ლიტოვსკის და ბუქარესტის ხელშეკრულობათა წინააღმდეგ, რომელთა დაცვა ეხლა არც სხვა პარტიებს მოუვათ აზრათ. ინტერნაციონალური სოციალიზმის ერთგულნი, ჩვენ ყოველგვარ გარემოებაში ვიბრძოდით რომელიმე ხალხზე ძალდატანების წინააღმდეგ. ეს გარემოება გვაძლევს ჩვენ მორალურ უფლებას უარვყოთ ყოველგვარი ცდა გერმანელი ერის დასამონავებლათ. სოციალდემოკრატიული პარტია მოწოდებულია მთავრობის რიგში, რომ დახმარება გაუწიოს ბურჟუაზიულ საზოგადოებას. იმპერიალიზმის დამარცხების შემდეგ მან თავს იდვა სახალხო თავდაცვის მოწყობა და ბურჟუაზიული წესწყობილების დაცვა. მთავრობაში შესვლის პირობებათ არ იყო წამოყენებული არც პოლიტიკურთა ამნისტია, არც საალყო წესების მოხსნა, არც რაიმე სოციალ პოლიტიკური მოთხოვნილებანი. ბურჟუაზიულ საზოგადოებასაც კი დაუყონებლივ ისეთი მოთხოვნილებანი მაინც უნდა შეესრულებინა, როგორიც არის: დაუყონებლივ დაცლა გერმანელთა ჯარების მიერ ყოფილი რუსეთის სახელმწიფოს ოლქებისა, აგრეთვე დაცლა ფინეთისა, ბალტიის მხარისა, პოლონეთისა, უკრაინისა და რუმინია ბულგარეთისა; გადასინჯვა საზავო ხელშეკრულობისა დემოკრატიის პრინციპების თანახმად; ამნისტია ყველა კერძო და სამხედრო პირებისა, რომლებიც გასამართლებულნი არიან პოლიტიკურ დანაშაულობათა გამო; საალყო წესების მოხსნა; კავშირების და კრებების თავისუფლება; პრესის თავისუფლება; პროპორციონალური საარჩევნო უფლების შემოღება, რომლითაც ქალებიც ისარგებლებენ; გაუქმება შრომის ბეგრის კანონისა; აღდგენა მუშათა კლასის დაცვისა; 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და ბოლოს კონსტიტუციის შეცვლა, რომ შესაძლებელი გახდეს ნამდვილი მთავრობის შედგენა.

როგორც ინტერნაციონალური სოციალისტები, ჩვენ ვაყენებთ გაცილებით მეტ პირობებს. ჩვენ მივილტვით სოციალისტური რესპუბლიკისაკენ, რომელსაც ერთად ერთს შეუძლია იხსნას ქვეყანა ომის მიერ გამოწვეულ განადგურებისაგან. ღრმა გადატრიალებანი ხდება ყველა სახელმწიფოებში. ალება ამ ცვლილებების დროს ხელმძღვანელის როლისა, ისტორიული მოვალეობაა ინტერნაციონალური პროლეტარიატისა. მთავრობის სოციალიზმის მეთოდებს მოაქვს მხოლოდ მუშათა კლასის თვითმოქმედების დასუსტება და ბურჟუაზიული საზოგადოების გამაგრება. პროლეტარიატის ერთობა ვერ განხორციელდება ცენტრის, პროგრესიულ სახალხო პარტიის, ნაციონალ ლიბერალების და აგრეთვე მთავრობის სოციალისტების დროშის ქვეშ. ერთობა—უმწიკვლო დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ინტერნაციონალური პროლეტარიატის დროშის ქვეშ—უნდა იყვეს პირველი სიტყვა გერმანიის პროლეტარიატისა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება გარანტია ზავისა, მხოლოდ ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება პროლეტარიატის და კაცობრიობის მომავალი".

მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „შეერთდით, შეაკავშირეთ რაზმები, უნდა მიღწეულ იქნეს კაცობრიობის უმაღლესი განთავისუფლება!"

სისხლში გასვრილი ხელები დაშნაკელებისა

ის, რაც დღეს სომეხ ლტოლვილთა გარშემო ხდება, არის პირდაპირი გაგრძელება იმ დამღუპველ პოლიტიკისა, რომელსაც თავიდანვე აწარმოებდენ დაშნაკელები. დაუსრულებელი პროვოკაცია, მუდამ იარაღის ჟღარუნი, სისხლის წყურვილი და შემდეგ კი დაჩაგრულის მანტიაში გახვევა და მთელი ქვეყნის წინაშე თავის შებრალება,—აი გზა, რომელსაც მისდევენ სომხის ხალხის მესვეურები და მიუხედავათ მრავალ გზის გაკვეთილისა, დღესაც არ ღალატობენ ტრადიციას, დღესაც განაგრძობენ სისხლში გასვრილი ხელების ფათურს.

ერთი კვირაა დაშნაკელები ყოველ წრის გადასულ საზიზღარ პროვოკაციას ეწევიან ახალ ქალაქის სომეხ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის გარშემო. ვინც საქმის ვითარებას ნამდვილათ არ იცნობს, იფიქრებს, რომ საქართველოს მთავრობა მართლაც საშინელ გზას დასდგომია და სომხის ხალხის გასაუბედურებლათ ზომებიც კი მიუღია.

ახალქალაქის ლტოლვილთა საკითხი და ამ ხალხის გადმოხვეწის მიზეზები ჯერ კიდევ ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობია. არც მთავრობამ და არც საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არ იციან დანამდვილებით რა იყო მიზეზები მთელი მაზრის მცხოვრებთა გადმოხვეწისა.

ჩვენ, ვინც ამ რაიონებში ბათუმის ზავის წინა დღეებში ვმუშაობდით, ჯერაც არ გვითქვამს სიმართლე, ჯერაც არ გვიმხელია უბედურების გამომწვევნი, შეიძლება ეს უდიდესი დანაშაული იყვეს ხალხის წინაშე, შეიძლება მიუტევებელი ცოდვათ ჩაგვეთვალოს დღემდე დუმილი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ იმ ხანებში ამის თქმა, ეს იქნებოდა ცეცხლზე ნავთის დასხმა, ისედაც გაღვივებულ ნაციონალურ შუღლისა კიდევ უფრო გაღვივება და ახალი სისხლის მორევის დაყენება.

დღეს კი, ვინაიდან თვით ცოდვებს დაშნაკელები ჩვენ გვაბრალებენ და ამით სურთ ხალხის რისხვა აიცილონ, მოვალე ვართ ვთქვათ ყოველივე, ფარდა ავხადოთ იმ საშინელ საიდუმლოებას, რომელიც ახალქალაქის მაზრის უბედურ გლეხკაცობის ზურგს უკან იმალება. შეიძლება მოიგონონ ამ სურათებიდან თვით ზორიანებმა, თუ რას შვრებოდნენ იქ მათი ამხანაგები, რომლებთანაც თვითონაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამიერკავკასიის სეიმში ერთხელ შეკითხვა შეიტანეს არტაანის სომეხთა ჟლეტის შესახებ და საქვეყნოთ დაგმეს ის მხეცური მოქმედება, რომელიც იქ მაჰმადიანებმა ჩაიდინეს. ყველაფერს თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს და აქაც ამ სისხლის ღვრის სარჩული სხვაგან იყო. მე ვაცხადებ, რომ არტაანის სისხლის ღვრა იყო პირდაპირი შედეგ იმის, რაც ახალქალაქის მაზრაში ჩაიდინეს დაშნაკელებმა. არტაანის უბედურების სწორეთ ერთი კვირის წინეთ ახალქალაქელმა დაშნაკელებმა ააწიოკეს ქართველ მაჰმადიანთა ისტორიული სოფელი გოკია. აქ მოქმედობდა ზორიანისთვის კარგათ ცნობილი უსულ-ხერო, რომელმაც თავის „ზინვორების" შემწეობით ალყა შემოარტყა სოფელს და აიკლო რა ის, ბრძანება გასცა ქალები და ბავშვები ტყვეთ წაეყვანათ, ხოლო სოფელი კი მიწასთან გაესწორებინათ. ასეც მოხდა. ერთხელ კიდევ დაანგრიეს ისედაც არა ერთხელ განადგურებული ისტორიული სოფელი ძველი მესხეთისა. დღემდე მას ანადგურებდენ მუდამ ოსმალთა ურდოები, დღეს კი სოფ. გოკია წილათ ხვდა დაშნაკელებს. მე ხაზს ვუსვამ, რომ სოფელ გოკიას განადგურების ინიციატივა ეკუთვნოდა ახალქალაქის სომხთა ნაციონალურ საბჭოს, რომლის სათავეში იდგნენ დაშნაკელი ქალაქის თავი მარქარიანი და აივაზიანი. ამავე საბჭოს განკარგულებით მისცეს უსულხეროს ახალქალაქიდან ზარბაზნები, რომელიც დაუშინეს მშვიდობიან სოფელს და როცა მამაკაცებმა გაქცევით თავს უშველეს, ხიშტებზე წამოაგეს ბავშვები და ქალები, ხოლო ვინც გადარჩა, ტყვეთ წაიყვანეს სომხების სოფელ ალასთანში.

ამას მოჰყვა არტაანის სომხეთა ხოცვა-ჟლეტა, რომელშიაც პირდაპირ მონაწილეობას ღებულობდენ გოკიელი მაჰმადიანები, რომელთაც გაუნადგურეს სოფელი, დაუწვეს სახლები, მოსტაცეს მთელი ქონება და შემდეგ კი სოფლის დათესილი ყანები დაუნაწილეს სომხების სამ სოფელს.

აქედან დაიწყო ის უბედურება, რომელსაც შემდეგ მოჰყვა მთელი მაჰმადიან სოფლების ფეხზე ადგომა და განუწყვეტელი სისხლის ღვრა. სწორეთ ამ ხანებში ახალციხის მიდამოებში ასეთივე გართულებული მდგომარეობა იყო და დაშნაკელთა „ზინვორები" ყოველდღე ატყვევებდენ მაჰმადიანთა ბავშვებს და ქალებს, მოჰყავდათ ახალციხეში და შემდეგ იწყებოდა მოლაპარაკება და ნამდვილი ვაჭრობა. დაშნაკელ ზორიანს, ახალციხის ყოფილ ქალაქის თავს და ეხლა კი საქართველოს პარლამენტის წევრს, ალბათ, ახსოვს ეს სურათები, მას ეხსომება ის შემთხვევაც, როცა დაშნაკელთა ზინვორები ყუმბარებით მისცვივდნენ ახალციხის ციხეში ჩაყრილ მაჰმადიან ბავშვებს და ქალებს და რომ ახალციხეში მაშინ მყოფი ყვარიელი სახალხო გვარდიელები არ მისწრებოდენ, შეიძლება ახალქალაქის მზგავსად აქაც დაღვრილიყო უდანაშაულო ხალხის სისხლი.

მაგრამ ეს იყო დასაწყისი. საქმე თანდათან რთულდებოდა. ბეგები გამალებით ემზადებოდნენ ოსმალთა მოსაპატიჟებლათ და ადგილობრივათ რაზმებს აღგენდნენ ასკერების დასახმარებლათ. ჯავახეთის ქართული რაზმი იდგა თავის სოფლების ხაზზე და მედგრათ იცავდა თავის კარ-მიდამოს. თვით ახალქალაქის დამცველი კი, სომხების პოლკი იყო, რომელმაც უბრძოლველათ დასტოვა ქალაქი. მაგრამ აქ მოხდა ერთი უდიდესი და შემაძრწუნებელი მხეცობა, რომლის მზგავსი სომეხ თათართა ჟლეტამ არ ახსოვს, რამაც გამოიწვია შემდეგ მთელი მაზრის ხალხის გადმოხვეწა და ის შიმშილ-სიცივისაგან ბაკურიანის ტყეებში სამუდამოდ მიიყვანა. ახალქალაქის ახლოს არის ძველი ქართული სოფელი ხოჩამი, სადაც ეხლა გამაჰმადიანებული ქართველები, გვარათ ფალავანდიშვილები ცხოვრობენ. დაშნაკელებმა მთელი ეს სოფელი ტყვეთ წამოიყვანეს ახალქალაქში. მათ არ დაინდეს თვით მამად-ალიბეგ ფალავანდიშვილი, რომელიც ცნობილი ქველმოქმედია, მაშინ იყო ჯავახეთის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეთ და ყველა კულტურულ საზოგადოებებს უხვ დახმარებას აძლევდა. ნახევრათ მის ხარჯზე გაიხსნა შარშან ახალქალაქში ქართული გიმნაზია, სადაც ქართველი მაჰმადიანი ბავშვებიც შეჰყავდათ. ფალავანდიშვილის ოჯახი დაატყვევეს დაშნაკელებმა და მისი ქონება კი დაიტაცეს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ იძულებული არ შევიქენით უკან დავეხია და ორი მაზრა ბათუმის ხელშეკრულებით მტრისთვის ჩაგვებარებინა. მაგრამ სწორეთ ამ დროს მოხდა ერთი უდიდესი მხეცობა, რომლის მზგავსი ჯერ არ მინახავს. ქალაქის დატოვების წინ გამოიყვანეს ხოსპიელი მაჰმადიანები და ახალქალაქის ქუჩებზე ყველას თავები მოჰკვეთეს. დასტოვეს მხოლოდ მამად-ალი ბეგ ფალავანდიშვილი ოჯახით, რომელიც დაშნაკელებს ქალაქიდან სადღაც მიყავდათ. სწორეთ ამ დროს იხევდა საზღვრებისაკენ ჯავახეთის ქართული რაზმი, რომელმაც გადაარჩინა ფალავანდიშვილი და ის თფილისში გამოგზავნა ოჯახობით.

ყველა ამის შემდეგ მაზრის მცხოვრებლები შიშით ვეღარ დადგნენ თავის სოფლებში, ეშინოდათ შურისძიების და დაიძრა უთვალავი ხალხი, დააგდო თავისი სარჩო-საბადებელი და შემოეხიზნა ბაკურიანის ტყეებს და წალკის მიდამოებს. მარქარიან-აივაზიანებმა კი დროზე მოასწრეს გამოპარვა, აღელვებული ხალხი მათ სასიკვდილოთ დაეძებდა, და დღეს კი თავისუფლათ დასეირნობენ თფილისის ქუჩებზე, მიუხედავათ იმისა, რომ სომხეთა წარმომადგენლებმა შემდეგ ბაკურიანში აღუთქვეს ხალხს მოეძებნათ საშინელ მხეცობის ჩამდენნი და დაესაჯათ.

აი, ბატონებო, ნამდვილი დამნაშავენი ბაკურიანის ტყეებში ძმათა სასაფლაოში უდროვოთ ჩაყრილ ხალხისა, აი მიზეზები იმ ცრემლებისა, იმ მოთქმა-გოდებისა, რომელიც ცივ მთებში მიწას ალღობდა და დაუსრულებელი ტანჯვა გამოიწვია.

დღეს კი სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი კიველ სომხეთის ელჩს ემუდარება აცნობოს ქვეყანას, რომ საქართველოს მთავრობა აწამებს ლტოლვილებს, რომ ის არ უშვებს უკან ახალქალაქში მათ, მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალთაგან უკვე მიიღეთ ნებართვაო.

რათ არ აცნობეთ ბ-ნო ჯამალიანო, ზორიანებო და კომპანიავ, ისიც მთელ ქვეყანას, რომ ახალქალაქელმა თქვენმა ამხანაგებმა თავები მოკვეთეს უდანაშაულო მაჰმადიანებს, რომ თქვენი ამხანაგი დაშნაკელები იქიდან მაშინ გამოიპარენ და ხალხი კი ყველა ამის გამო გადმოიხვეწა და შიმშილ-სიცივით ტყეებში გაწყდა.

ან რად არ ამბობთ იმასაც, რომ სომეხ ლტოლვილებთან ერთად ამოწყდა ქართველი ლტოლვილებიც, უკანასკნელი მესხები და ჯავახელები. აბა მიდით აწყურის ტყეებში, გადახედეთ თოვლიან მინდვრებში ლაყრილ ქართველ ლტოლვილებს, მოუსმინეთ ობოლ ბავშვებს, რომლებიც გამვლელებს შარა გზაზე ხელებ აშვერილი ხვდებიან და შიმშილ-სიცივისაგან აკანკალებულნი, ღონე-მიხდილნი შველას სთხოვენ. განა საქართველოს მთავრობას რომ საშუალება ჰქონოდა, არ დააბრუნებდა და არ უშველიდა ამ მისთვის ძვირფას მესხებს და ჯავახელებს, უკანასკნელ შთამომავლობას ჩვენი კულტურის აკვანისა?

თქვენ აფათურებთ, დაშნაკელებო, სისხლში გასვრილ ხელებს და გსურთ მისი ლაქით გასვაროთ ქართველი დემოკრატია. თქვენ არ იბრალებთ იმ უბედურ ხალხს, რომელიც გადაურჩა ამ საშინელ განცდას და მზგავსათ 6 ნოემბრისა მიდევნით ბარალეთის მთებში მაშინ, როცა წინასწარ იცით, რომ მათ ოსმალები ამოხოცავენ. და აი ამ გზით კიდევ მიემატა ბარალეთის მთებში ახალი 150 საფლავი უდანაშაულო ბავშვებისა და ქალებისა, რომელნიც თქვენ თავიდანვე გაწირეთ და მისი სისხლით ვაჭრობთ.

შორს ჩვენგან ეს სისხლიანი ხელები! ნუ აფათურებთ მათ, ისინი ღირსნიც არ არიან იმ ობოლ საფლავებისა, რომლითაც მოკირწყლულია უბედური აიასტანი და ბაკურიანის ტყეები!

დროებით ჯავახელი.

ლაზისტანი

ლაზისტანი (ჭანეთი), მესხეთი, ჯავახეთი—ეს საუკეთესო ნაწილებია საქართველოსი, რომელთა შვილები უდგნენ საქართველოს სათავეში და ჰქმნიდნენ მის ისტორიის საუკეთესო ხანას.

ლაზისტანი დაპყრობილ იქმნა ნახევრათ ველურ ოსმალეთისაგან და დღემდის ეს მდიდარი კუთხე მას უპყრავს. ერთ-მესამედი ქართველი ერისა დაპყრობილ და ძალით გამუსულმანებულ იქმნა. ეს მწუხარების ფურცლებია ქართველი ერის ისტორიაში და ყველა ქართველის ისტორია.

მე მინდა აქ მივაქციო საზოგადოების ყურადღება ლაზისტანის დღევანდელ [illegible] მდგომარეობაზე.

ლაზისტანი იწყება დღევანდელ საქართველოს სამხრეთის საზღვრებიდან და მიდის ქალ. პლატანამდე (12 ვერსზეა ტრაპიზონის დასავლეთით) სულ ზღვის პირით. ზღვის პირიდან მისი ტერიტორია მიდის ოსმალეთის შიდა პროვინციებისაკენ 80—100—120 ვერსით. ამ ტერიტორიაზე, როგორც გადმოგვცემენ თვით ლაზები, მოსახლეობს დაახლოვებით 250—350 ათასი ლაზის მოდგმის ხალხი, რომელსაც შერჩენია ენაც და ჩვეულებაც თავისი წინაპრებისა. რასაკვირველია, ეს რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა, რომ ლაზების ერთი ნაწილი არ გათურქებულიყო სავსებით—ენით, ჩვეულებით, სარწმუნოებით.

ლაზები შრომის მოყვარე და ნიჭიერი ხალხია, მაგრამ მათ თავის ნიჭი, რასაკვირველია, ვერ გამოიყენეს ოსმალეთის სინამდვილეში. ლაზები საუკეთესო მეზღვაურებათ არიან მიჩნეული მთელს ანატოლიის ნაპირზე და კომერციული მიდრეკილებაცა აქვთ. ისინი თუ ჩამოუვარდებიან ლაზისტანში ვინმეს—ეს მხოლოდ ბერძნებს და ისიც განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და რელიგიურ პირობების გამო. ქართული ზნე-ჩვეულება ბევრგანაა დაცული, განსაკუთრებით ქალებში. მაგრამ რამდენი დროც გადის, იმდენათ ლაზი უფრო და უფრო გადაგვარების გზას ადგება. ბევრს მათგანს კარგათ ახსოვს, რომ ქართველები (გურჯები) მათი ძმებია. ზეპირ-გადმოცემანი ხშირათ ლაპარაკობენ თამარ მეფეზე და დავით აღმაშენებელზე. მე მომიხდა ერთ ლაზთა სოფლის ნახვა (მთებში, ტრაპიზონისა და პლატანას შუა). ის მომაგონებდა წმინდა მეგრულ სოფელს.

ბევრი ქართველი-მუსულმანებია დასახლებული ოსმალეთის სხვა პროვინციებში. სტამბოლთანაც ბევრი ცხოვრობს ქართველი მაჰმადიანობა. დიდს უმრავლესობას შერჩენია ქართული ზნე-ჩვეულება, ენა, ზეპირ გადმოცემანი, უმეტეს შემთხვევებში უფრო კარგად, ვიდრე ლაზისტანის ქართველებს (ლაზებს). ისინი გადასახლებულან იძულებით რუს-ოსმალეთის ომის (1870—1871 წ.) დროს და სხვა დროსაც.

მათი სოფლები და სახლები ცალკეა გაშენებული ოსმალებისაგან, რომელნიც, მიუხედავათ სარწმუნოების ერთიანობისა, არ ივიწყებენ მათს ქართველობას და ცუდათ უყურებენ მათ. ეს ქართველი მაჰმადიანები, მთლად კიდევ ვერ ეგუებიან ოსმალებს, და ქართველი მაჰმადიანი იშვიათად თუ შეირთავს ოსმალოს ქალსა. ბევრი—კარგათ, ეკონომიურათ მოღონიერებული არის. ბევრს მათგანს ჰსურს სამშობლოში დაბრუნება აჭარაში ან ჩრდილოეთ ლაზისტანში, მაგრამ... რუსეთის ეშინიათ, როგორც გადმომცეს ზოგიერთმა მათგანმა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლაზებს ძალიან იშვიათად თუ შეხვდებოდით მათ სამშობლოში რუს.-ოსმალეთის 1914—1917 წლ. ომის დროს, როცა პირველმა დაიჭირა ეს ტერიტორია... ისინი გახიზნულან, მცირე ნაწილის გამოკლებით, ოსმალეთში.

ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილათ ვუცქიროთ ჩვენი ძმების გადაგვარება-გადაშენებას.

ამ საკითხის ირგვლივ ჩვენში სხვადასხვა აზრები ტრიალებს. საჭიროა ამ საკითხის გაშუქება ყოველმხრივ ჩვენს პრესაში.

ლაზისტანის საკითხის შესახებ შეიძლება სხვადასხვა პიროვნება სხვადასხვა აზრისა იყოს; შეიძლება უარყოფითაც უცქეროდეს მას,—სასურველია ეს ყველაფერი პრესაში იქნას გამოტანილი და შეხედულებანი გამოქვეყნებული.

კერძოთ, ჩემის აზრით, ლაზების კითხვა შეიძლება გადაიჭრას ორნაირათ: 1) ლაზისტანი უნდა შემოუერთდეს საქართველოს ავტონომიურ საფუძველზე და გაერთიანებულ იქმნას საქართველოს სამაჰმადიანოსთან ბათუმის ირგვლივ; ან და—თუ კომპრომისზე წავიდა საქმე—2) ლაზისტანმა უნდა მიიღოს ფართო პოლიტიკურ ტერიტორიალური ავტონომია ოსმალეთის ფარგლებში, საერთაშორისო გარანტიით.

საკითხის უფრო ღრმათ განხილვა მოითხოვს მის დეტალიზაციას, რომელსაც მე ეხლა აქ არ შევუდგები. ჯერ საჭიროა პრინციპიალურათ გადაწყვეტა ამ საკითხისა, რაც ქართველ დემოკრატიას ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი.

შ. ჩოჩია.

ხონის საოსტატო სემინარიაში

ძველი რეჟიმის დროს სამოსწავლო მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით ეპყრობოდა ეგრეთ წოდებულ „პრივილეგიებიან" სკოლებს, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებს; იმ სკოლებს კი, რომელთაც „სახალხო" ხასიათი და სახელი ჰქონდათ, მეორე ხარისხოვანი ადგილი ეჭირათ. ნაკლები ყურადღება ჰქონდა მთავრობის მხრივ და ეს უკანასკნელი მათთან სულ სხვაგვარ დამოკიდებულებაში იყო. თუ როგორს აუტანელ პირობებში იყო ჩაყენებული სახალხო სკოლა და სახალხო მასწავლებელი, ეს ყველამ კარგათ იცის. ეს ჩვენ მაშინ სრულიად არ გვაკვირვებდა და უკუღმართობას შეძლების დაგვარად ვებრძოდით.

ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ გვეგონა ასეთი შეხედულება სახალხო სკოლაზე შეიცვლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯერ არ მართლდება.

რომ სახალხო სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე კარგათ იყოს დაყენებული, საკმარისი არაა კარგი შენობა, საუკეთესო სისტემის პარტები, თვალსაჩინო ნივთების შეძენა და სხვ... ყველა ამასთან ერთად საჭიროა კარგათ მომზადებული სახალხო მასწავლებელი, სახალხო სკოლისთვის კი მასწავლებლებს ამზადებს საოსტატო სემინარია; მაშასადამე თუ ჩვენ გვინდა სახალხო სკოლა და სახალხო მასწავლებელი, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საოსტატო სემინარიის და მასში სწავლა-აღზრდის საქმის კარგათ დაყენებას—შესაფერი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილ მასწავლებელ ხელმძღვანელთა დანიშვნით, რათა სემინარიამ შესძლოს სათანადოთ მომზადებულ სახ. მასწავლებლების გამოშვება.

არ ვიცით, რა მდგომარეობაშია სხვა ჩვენი საოსტატო სემინარიები, მაგრამ ეს კი დანამდვილებით ვიცით, რომ ხონის საოსტატო სემინარიაში მეცადინეობა არა ნორმალურათ სწარმოებს: აგერ მეორე თვეა, რაც ოფიციალურად მეცადინეობა დაიწყო სემინარიაში მაგრამ არც ერთ კლასში ნამდვილი მეცადინეობა არაა და ჯერ არც სანიმუშო გაკვეთილების მიცემა დაწყებულა—სემინარიასთან არსებულ პირველ დაწყებითი სკოლაში. ამის მიზეზი ისაა, რომ სემინარიაში მასწავლებელთა რიცხვი საკმარისი არ არის, აკლიათ ფილოლოგი, ისტორიის, მათემატიკის და სხვა მასწავლებლები.

როგორც ვიცით, სემინარიის დირექტორს პირადათ მოუხსენებია ბ. მინისტრისთვის და დეპეშითაც რამდენიმეჯერ უთხოვნია, მაგრამ მასწავლებლები ჯერაც არაა დანიშნული.

ამავე დროს თითქმის, გიმნაზიებში მასწავლებელთა სრული შემადგენლობაა. გამოდის რომ სემინარიას, როგორც „სახალხო" სკოლას, ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული.

სხვა ადგილებიდან ხონში ჩამოსული სემინარიის მოწაფეები, რომელთაც ძვირად უჯდებათ ხონში ცხოვრება, თუ სწავლა სემინარიაში ამ ცოტა ხანში ნორმალურად არ დაიწყება, იძულებული იქნებიან თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდენ, მაშინ სემინარიაში ამ მიმდინარე წელს მეცადინეობა სრულიად უნდა შეწყდეს და წელს სემინარია სახალხო მასწავლებლებს აღარ გამოუშვებს, რაც ჩვენი სახალხო სკოლებისთვის დიდათ საზიანო იქნება.

Nota-bene

ს.-დემ. პარტიაში

ქვემო ჭალის რაიონი (ქართლი). 27 ოქტომბერს შესდგა რაიონული ს. დ. მ. პ. მორიგი კრება. ესწრება 20 ამხანაგი და კომიტეტის 5 წევრი. თავმჯდომარეობს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შაქრო ოქროპირიძე, მდივანი ალ. ფრუიძე. კრება კანონიერად ცნობილ იქნა, რადგან ის განმეორებით იყო მოწვეული ოც ოქტომბრიდან. დღიური წესრიგი: 1) 17—20 ოქტომბრის სამაზრო პარტიული ცენტრის კრებაზე დასწრებული დელეგატის ამხ. იაკოფ ნონიაშვილის მოხსენება, 2) იარაღის უმიზნოდ ხმარება და მისი ჩამორთმევა, 3) გადამდები სენი და მის საწინააღმდეგო ზომების გამოძებნა და სხვადასხვა საკითხები: 1) სამკითხველოს უბინაობა, 2) ნატანებთან დახოცილ გმირ გვარდიელთა ხსოვნა.

რეზოლიუციები: 1) მოისმინა რა კრებამ მოხსენება ამხ. იაკოფ ნონიაშვილისა, გამოსთქვამს შემდეგს: ის იწონებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ აქამდე გადადგმულ ნაბიჯებს და უცხადებს სრულ ნდობას; ეყრდნობა მომავალშიც იმავე მთავრობის და სამაზრო, სოფლო და მთლად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიზან-შეწონილ მუშაობაზე. 2 და 4-ე საკითხი: რადგანაც გამორკვეული არის, რომ რაიონში იარაღის უწესრიგო სროლა იწვევს დიდ აღშფოთებას და რაიონის ადმინისტრაცია ვერ სძლევს ამის ჩაქრობას, დაევალოს რაიონის სახალხო გვარდიის შტაბს, რომ მან, გვარდიელების და პარტიული ამხანაგების დახმარებით აჰყაროს იარაღი რაიონში ყველას, ვისაც მისი ტარების ნებართვა არა აქვს, დამნაშავენი კი პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი არა გვარდიელნი და გვარდიელნიც, რომლებიც არ ასრულებენ დანიშნულებას. იწარმოვოს საამისო პროპაგანდამაც ამხანაგების მიერ. 3) მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთელი რაიონი განიცდის საშინელებას გადამდები ავათმყოფობით, რომელიც სისწრაფით ვრცელდება ხალხზედ და იწირავს ადამიანთა სიცოცხლეს. ამისათვის კრება ავალებს ლამისყანელ ამხანაგს ნასყიდა კობაურს, დაუყოვნებლივ წავიდეს და იშუამდგომლოს სამაზრო და სოფლო მთავრობასთან (სადაც ჯერ არის და სადაც კი საჭირო იქნება) და პარტიულ ცენტრებთან, რომ მთავრობამ აღმოუჩინოს საჭირო დახმარება, რისთვისაც რაიონის მოქალაქენი იტვირთავენ ყველა ამაზედ მოსულ ხარჯების გაღებას.

1) სამკითხველოს უბინაობა: სამკითხველოს ბინის აღმოჩენა მიენდოს ს. ქვემო ჭალის ამხანაგობის განსაკუთრებულ კრებას, დაჩქარებით,

2) ნატანებში გმირულად დახოცილ ამხანაგ წითელ გვარდიელების: ილიკო ბათიაშვილის, კაკოლა საჩალელის და ვახო კვეკლაშვილის ხსოვნის ძეგლის ასაგებად შესდგეს საამისო ფონდი თავისუფალ შემოწირულებით და დაედგათ ღირსეული ძეგლი მათ საძმო საფლავს (ძეგლის დადგმის და მათი ხსოვნის აღნიშვნის დრო განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული გაზეთის საშუალებით, ხოლო ამ ფონდისთვის შემოწირულება მიიღება ამ მისამართით: სად. გური კასპი, სოფ. ქვემო ჭალა, სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარეს ნიკო თავშავაძეს და თან ახლდეს შემომწირველთა სია მადლობის გამოსაცხადებლად.).

კრება დაინიშნა 4 ნოემბრისთვის, გამოითქვა საერთო სურვილი, რომ პარტიული კრება ხდებოდეს ყოველ კვირა დღეს და ისიც, რომ ყოველი წევრი, რომელიც სამ კრებას დააკლდება არასაპატიო მიზეზით, გარიცხულად ჩაითვლება პარტიიდან, პარტიის წესდების თანახმად რამდენიმე ხნით და შემდეგ კი სამუდამოთ.

ალექსანდრე ფრუიძე.

ბორჯომი. 30 ოქტომბერს მოხდა ს. დ. კომიტეტის კრება, დაესწრნენ გარდა კომიტეტის წევრებისა რამდენიმე მოწინავე ამხანაგებიც. გაირჩა შემდეგი კითხვები: 1) ინტერპარტიული ბიუროს დაარსება, 2) მოხსენება ბორჯომის მამულის მიმღებ კომისიის წევრებისა, 3) მამულის დაცვა, 4 რაიონის კომისრის მოწვევა, 4) პროპაგანდისტების მოხსენება და 5) საორგანიზაციო ბიუროს დაარსება. პირველი კითხვის შესახებ კრებამ მიიღო მხედველობაში ძველი გამოცდილება, რომ ბორჯომში არ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელთანაც შეიძლებოდეს სოლიდარული და შემოქმედებითი მუშაობა და უარჰყო ინტერპარტიულ ბიუროს დაარსება. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ბორჯომის მამულის მიმღებ კომისიის წევრების მოხსენება, რომელთაც დაასურათეს ყველა ის სიძნელე და დაბრკოლებანი, რომელიც მათ შეხვდათ მამულის მიღების საქმეში. კრებამ ეს მოხსენება მიიღო ცნობისათვის და თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამოიტანს შესაფერ დადგენილებასაც. მამულის დაცვის შესახებ კრებამ დაავალა ყველა პარტიის წევრს პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით დაეხმარონ მამულის ადმინისტრაციას მამულის განადგურებიდან გადარჩენის საქმეში, რომელსაც აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა. რაიონის კომისრის მოწვევის შესახებ კრებამ დაადგინა, რათა ადგილობრივმა სახ. გვარდიის შტაბმა და მამულის გამგემ შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, რათა დაბრუნებულ იქნას ბორჯომში ყოფილი კომისარი პ. ჟორდანია, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერ კანდიდატის მოძებნა დაევალა კომიტეტის პრეზიდიუმს. კრებამ აუცილებელ საჭიროებათ დაინახა პარტიულ საორგანიზაციო ბიუროს დაარსება, ამიტომ მან აირჩია სამი პირისაგან შემდგარი კომისია. არჩეულ იქნენ: კ. შახნაზაროვი, ვ. ზაქარაძე და ი. ლონლაძე. სოფლის პროპაგანდისტის მოხსენებით პარტიული მუშაობა სოფლად შეფერხებულია იმის გამო, რომ ტყისა და საზოგადოთ მიწის საკითხი ბორჯომის ხეობაში ვერ არის მოწესრიგებული.

ნოდე.

მუშათა შორის

რკინის გზის მთავარი სახელოსნო.

8 ნოემბერს მთავარ სახელოსნოს ყოფილ ადგილობ. აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში შესდგა კრება: უმთავრეს სახელოსნოს, ტელეგრაფის სახელოსნოს, უმთავრეს მასალის საწყობის, და თფილ. დეპოს პროფესიონალურ კავშირის სექციებისა. დაესწრო აგრეთვე კანტორებში მოსამსახურეთა წარმომადგენელი ამხ. მიხ. სუხმანოვი. დღის წეს-რიგში იდგა შემდეგი კითხვები: უმთავრეს სახელოსნოს სექციის პრეზიდიუმის და სარაიონო გამგეობის და მისი პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები. კრება გახსნა ამხ. მიხ. ძამანაშვილმა, რომელმაც მოახსენა კრებას, რომ წარმომადგენლები, მთავ. სახელოსნოს, საწყობის და ტელეგრაფის სახელოსნოსი წარმოადგენენ ერთ სექციას, რომელიც შედის მიმქვეს რაიონულ პროფესიონალურ კავშირში. სექცია თავიანთ შორის ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც იღებს ყოველგვარ პროფესიონალურ ხასიათის საქმეებს დასახელებულ განყოფილებებიდან და განსახილველათ გადააქვს რაიონულ კავშირში. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი კონსტრუქცია: რაიონული გამგეობა 17 კაცისაგან, 12 კაცი უმთავრეს სახელოსნოთან და 5 თფ. დეპოდან. პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან. 3 კაცი უმთავრეს სახელოსნოს და ორი კაცი თფ. დეპოსგან. უმთავრეს სახელოსნოდგან გამგეობაში აირჩიეს: მიხ. ძამანაშვილი, მიხ. ლაპკინი, მ. სუხმანოვი, ვალ. ვაშაკიძე, ვას. ვაშაკიძე, ალ. ხორიაშვილი, ი. რაქვიაშვილი, ი. მჭედლიშვილი, დ. დვალი, შ. მამაცაშვილი, კაზუროვი და მელ. კუპუხიძე. თფ. დეპოდან: ვას. სიხარულიძე, ლუკაშევიჩი, მანჯგალაძე, წრიაძე და ანდღულაძე. პრეზიდიუმში—ამხ ვ სიხარულიძე—თავმჯდომარე, მიხ. ლაპკინი და ვალ. ვაშაკიძე. თავმჯდომარის ამხანაგები: მიხ. სუხმანოვი. მდივანი და მდივნის ამხანაგი ლუკაშევიჩი. უმთავრეს სახელოსნოს პროფ. სექციის პრეზიდიუმში: ვას. ვაშაკიძე, დ. დვალი ავქს. კაპანაძე, მიხ. ნუიკინი და ვლ. სანაძე.

დასასრულ კრებამ დაადგინა: ყველა საქმეები ყოფილ ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტისა, შესაბამათ გადაეცეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინის გზების ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირს. არჩეულებმა უსურვებენ ჩვენს რესპუბლიკის რკინის გზებზედ ახლათ დაარსებულ პროფ. კავშირების ასაღორძინებლათ ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას.

მესპილენძე.

ღვინის სარდაფებში მომუშავეთა სასარგებლოთ.

ამ დღეებში წარდგენილი მოთხოვნილებანი ღვინის სარდაფებში და კანტორებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირისა სრულებით დაკმაყოფილებულია „ხაზეინების" მიერ, მცირე შესწორებით, რომელიც შემდეგში გამოიხატება: პირველი კატეგორიის მუშა-მამაკაცები ღებულობენ 800 მ., მეორე კატეგორიის 750 მ.—პირველი კატეგორიის მუშა-დედაკაცები 600 მ., მეორე კატეგორიის 550 მ —კანტორის მოსამსახურენი: ბუხჰალტერები 1100 მ., პირველ კატეგორიის მოანგარიშეებს, საწყობების და მაღაზიების გამგეებს 900 მ, მეორე კატეგორიის 750 მ., მესამე კატეგორიის 700 მ. მოსამსახურე პატარა ბიჭები 300 მ. ეს მოთხოვნილებანი პირველ გიორგობისთვიდან შედის ძალაში და ვრცელდება იმ მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც კავშირის წევრებათ ითვლებიან, არა კავშირის წევრებზე კი შეუძლიანთ არ გაავრცელონ „ხაზეინებმა", ამიტომაც ყველა მუშა-მოსამსახურენი ღვინის სარდაფებისა დაჩქარებით უნდა ჩაეწერონ კავშირში, რომ კავშირს საშუალება ჰქონდეს მათი სამართლიანი ინტერესები დაიცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ, როგორც დათხოვნის დროს, ისე სხვა შემთხვევაშიაც ვერ დაეხმარება მათ პროფესიონალური კავშირი. მეორე უფრო დიდ გარემოებასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენი მუშები ვერ დგანან თავიანთ სიმაღლეზე, ისინი ვერ იჩენენ საჭირო შეგნებას საზოგადო საქმეებისადმი, მათი საქმიანობა მარტო მოთხოვნილების წარდგენაში და ლოთობა-ტყუილ უბრალო დროის ტარებაში გამოიხატება. აშკარათ შეიძლება ითქვას, რომ თითო ოროლა კაცის გარდა, არავინ გაზეთებს არ კითხულობს, კრებებზე, ლექციებზე, თეატრებში არ დაიარებიან და სხვადასხვა კულტურულ საქმეებს ყურადღებას არ აქცევენ, ეს კი უკან არჩენს მათ გონებრივათ, კულტურულ შემოქმედებითი მუშაობაში. იმ დროს, როდესაც მუშათა კლასსაც დიდი საჭირბოროტო კითხვები აქვს გადასაჭრელი, დიდი უბედურება იქნებოდა, თუ თვით მუშები არ მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას და არ მიაქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას დღევანდელ განსაკუთრებულ მდგომარეობას. ასეთიც ხდება: რკინის გზის, ტრამვაის და სხვა დასხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშები ჩაბმული არიან ქვეყნის საარმშენებლო საქმეებში, სამწუხაროდ ამ დარგის მუშებს (ღვინის სარდაფები!) ვერ ვხედავთ ამ საერთო საჭირო შეგნებით აღჭურვილათ, საერთო საქმეებთან დაშორებულნი არიან.

ამიტომ მივმართავთ ამ დარგის ყველა მუშა მოსამსახურეებს რომ მათ მოჰკიდონ საქმეს ხელი.

პროფეს. კავშირის გამგეობის წევრი
ა თოდრია.

რკინის გზის მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.

5 ნოემბერს, იქნებოდა 11 საათი, როდესაც დეპოს სასურსათო კომიტეტის წევრი ამხ. გ. ჟურული ღებულობდა სურსათს მე 14 საწყობიდან, ამ დროს მოვიდა აგრონომი ბ. ცინაკი, რომელმაც დაიწყო ლაპარაკი ხორბალზე, გადმოცემულს სამინისტროსაგან, მან მოხსნა შავრაზმულ გუდას პირი: „ჩვენი მთავრობა არ ვარგა, მას კაპეიკის ნდობა არ აქვს, მან ხალხის ქონება გაჰყიდა ბითუმად და ცალცალკე" და ჩვენ კი შიმშილით ვიხოცებით, რისთვისაც საჭიროა ჩვენი გვარდიელები წავყვანოთ მათ წინააღმდეგო" და ბოლოს ისეთი სიტყვა სთქვა, რომლის დაწერასაც ვერ ვბედავ სირცხვილის გამო. გასაკვირველია, ცენტრალურ კომიტეტის მიერ, ამისთანა პირის ყოლა სასურსათო საქმეში, ასეთი პირები გაკეთებით კი არაფერს გააკეთებენ და გაფუჭებით კი, ბევრს გააფუჭებენ. საჭიროა ამისთანა პირებს მიექცეს დროზე ყურადღება და იყვნენ ალაგმული პასუხსაგებ ადგილიდან, ვისგანაც ჯერ არს.

მეთვალყურე.

პროვინცია

ს. ბეკამი (ქვიშხეთის საზოგადოება). თუმცა აქ კარგა ხანია თავი იჩინა გადამდებმა სენმა, ეგრეთ წოდებულმა ინფლუენციამ, მაგრამ დღემდის სულ ადვილათ ჩხდიდა ავადმყოფი და სიკვდილიც იშვიათი იყო. დღეს გასაოცარის სისწრაფით მოედო მთელ სოფელს და დღე ისე არ გავა, რომ ერთი და ორი არ მოკვდეს. ზოგიერთ ოჯახში მთელი სახლობა ავათ არის და მომვლელიც კი არა ჰყავთ. ექიმის მოყვანა უხდებათ სურამიდან, რომელიც თუ ფაიტონი არ მიართვი, არ მოდის. ასე რომ, ერთი ვიზიტი ჯდება უკანასკნელი თხუთმეტი თუმანი. თუმცა ზოგიერთებს შეუძლიათ მოიყვანოს ექიმი, მაგრამ მეტ წილს კი არ შეუძლიათ. მას არა აქვს საშუალება ექიმი მოიყვანოს, არა აქვს საშუალება ავადმყოფი ცალკე ოთახში მოათავსოს, რითაც აიხსნება მთელი ოჯახის ავადმყოფობა. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება არა მარტო ბეკამი, არამედ მთელი ქვიშხეთის საზოგადოება, რომელიც შეიცავს ორი ათასამდე მცხოვრებელს. მთელ ამ საზოგადოებაში ერთი უბრალო ფერშალიც არ მოიპოვება.

ამ ბოლო დროს ბეკამში გავრცელდა საქონლის ჭირი, რომელიც უმოწყალოდ ჟლეტავს წვრილსა და სხვილფეხ საქონელს. ნიშნები ასეთია: სამი ან ოთხი დღე აბურძგნული დადის, არაფერსა სჭამს, კვნესის და დორბლები ჩამოსდის, შემდეგ უცბად კვდება. სოფელი მზათაა თავის ხარჯზე მოიწვიოს ექიმი. ფული უკვე შეკრიბეს და გორში გაგზავნეს კაცი შრატის შესაძენათ.

ვ. ნიკოშვილი.

ს. ჭანჭათი (გურია). სოფელი აღორძინებას იწყებს, ის უდგება კულტურულ საქმეს, თავის თავის პატრონობას იწყებს და ეს მოვლენა ფრიად სასიამოვნოა. აკეთის საზოგადოების ერთ პატარა სოფელს ჭანჭათს მისებრ პატარა მეზობელ სოფლების: (ვანის, ზომლეთის და ნაწილს აკეთის) დახმარებით გადაუწყვეტია აიგოს სახალხო სახლი. ამ მეტად სასიამოვნო საქმეში სოფლელებს ყველა უნდა დაეხმაროს, საკმარისია გურიის ერთ სოფელში აიგოს სახალხო სახლი და მერე ამ სოფელს სხვებიც მიბაძვენ. გურიის სოფლებისათვის სახალხო სახლების აგება მეტად საჭიროა, ავია თუ კარგი, ხალხი ეკლესიას ჩამოშორდა და რამდენიც უნდა ეცადონ ძველს ვერ მოაბრუნებენ, მაგრამ თუ ძველი არ ვარგოდა, მას ხალხი ჩამოეშორეთ, სამაგიეროთ ახალი რამ, დროის შესაფერი უნდა მივცეთ, ასეთი კი სახალხო სახლია. როგორც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული ამ. ვ. წ. მიერ ჭანჭათი გურიის ერთი ფხიზელი სოფელთაგანია. ჩვენ ვიცით რომ ამ სოფლის შვილები რევოლიუციას ღირსეულად ემსახურებიან და მის დასაცავათ თავიანთ თავს არ ზოგავენ. ოთხი ძმა გოგუაძენი (ვალოდია და ძმები მისი) თუ გარეთ იბრძვიან, მეხუთე ძმას თოხი უჭერია ხელში, ოჯახს ის ამაგრებს და ძმებს ამით ამხნევებს, ამავე დროს ადგილობრივი სკოლის მზრუნველიც არის. ასეთი ხალხი ღირსია საზოგადოების მიერ დახმარების, მაგრამ ყველაზე მეტი ფხიანობა თვით ამ სოფლის შვილებმა უნდა გამოიჩინონ. ვინც გარეთ არის და ჯამაგირს იღებს, ამ იმათ უნდა გადადვან ყოველ თვიურად ჯამაგირის პროცენტი. მე ამ სოფლის შვილი, მართალია იქიდან სხვაგან ვარ ჩასახლებული, მაგრამ მაინც მახარებს ჭანჭათლების მტკიცე გადაწყვეტილება, ვუძღვნი მათ ჩემ წრფელ სალამს და ამ ქამად რედაქციას ვუდგენ ას მანეთს. ქართულ ლატარიის ოთხი ბილეთის ფასს *), ჭანჭათის სახალხო სახლის სასარგებლოთ და მასთან ამ თვის პირველიდან სახლის დასრულებამდე ყოველ თვიურად შევიტან ხუთ-ხუთ მანეთს.

აპ. წულაძე.

წერილი რედ. მიმართ

„სახალხო საქმის" მე № 329-ში ს. მეჯვრისხევიდან მოთავსებულია ჭორებით აღსავსე წერილი, როგორც ჩემს, ისე ჩემი ამხანაგების წინააღმდეგ. ავტორს, ალბათ, ის ჰქონდა სახეში, რომ ამითი ვინმე გულუბრყვილო შეცდომაში შეეყვანა და ხმები შეემატებინათ, მაგრამ, როგორც ვიცით, მთელ გორის მაზრაში და კერძოთ მეჯვრისხევის რაიონში, გარდა ქ. გორისა, მათ არც ერთი ხმოსანი არ გაუყვანიათ. ბ. „ძველი მეჯვრისხეველი" წერილში აყენებს შემდეგ „ბრალდებებს": 1) „იმ დროს, როცა სხვაგან საზოგადოებრივ და კულტურულ საქმეებს ჰქმნიან და ხელს უწყობენ, ჩვენში კომისარი აშენებულს შლის და ანგრევს", დაშლა-დანგრევა კი გამოიხატება შემდეგში: ამ რამდენიმე თვის წინათ მეჯვრისხევის რაიონის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მეჯვრისხევის რაიონის კომისარიატის შეუფერებელ ბინის გამო იქონია მსჯელობა, რომ გამოენახა შესაფერისი ბინა, მაგრამ ხანგრძლივი მსჯელობის და ძიების შემდეგ დაადგა იმ აზრს, რომ საამხანაგო ბანკის გამგეობას სთხოვოს, რომ დაუთმოს კომისარიატს ის ბინა, რომელიც მათ აქვთ დაკავებული, ვინაიდან შესაფერისი ბინა, შესაფერის ადგილას ს. მეჯვრისხევში არ აღმოჩნდა და სამაგიეროდ შესაფერისი ბინაზედაც მიუთითა, როგორც საამხანაგო ბანკს, ისე მასთან არსებულ სამკითხველოს, რაზედაც საამხანაგო ბანკის გამგეობამ და თვით ამხანაგობამაც თანხმობა განუცხადეს, რაც საამხანაგო ბანკის წლიური კრების ოქმშიაც არის შეტანილი და აი, ამას ეძახის ბ. „ძველი მეჯვრისხეველი" საზოგადოებრივი და კულტურული საქმეების დევნას. ასე და ამგვარად, მეჯვრისხევის აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნით, საამხანაგო ბანკის გამგეობის და თვით ამხანაგობის თანხმობით ხსენებულ შენობაში მოთავსებულ იქმნა, რაიონის კომისარიატი და მილიციის „პოსტი" და არა ი. რუხაძის კერძო საცხოვრებელი, როგორც ამას ბ. „ძველი მეჯვრისხეველი" ბრძანებს. რაც შეეხება იმას, რომ ამბობს, „კრებებს ვმართავდით ამ სახლში"-ო, ამაზედ მოვახსენებთ ბ. „ძველ მეჯვრისხეველს", რომ ეხლა უფრო ხშირად, მრავალ რიცხოვანი და საქმიანი კრებები იმართება, ვიდრე ბ. „ძველი მეჯვრისხეველი"-ს სათაყვანო დროს. 2) „ბევრ უკუღმართობასთან ერთად ამ სოფელში ყურად საღებია იქ გაჩენილი ხოლერა, რომელიც მსხვერპლს მსხვერპლზე ზიდავს და ყურის მგდებელი არავინ არის, კომისარი არხეინათ ზის კოხტა სახლში.

მამასახლისს მაგიერ მეორე კომისარი ყურს არ იბერტყავს და ხალხი სასაფლაოს ავსებს". ესეც სერიოზული ბრალდებაა. თუ მართლა ხალხი სასაფლაოს ავსებს და ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას არ აქცევს, ეს დიდი ბოროტებაცაა, მაგრამ არც ესაა მართალი. რომ ადგილობრივმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია, ეს იქიდან სჩანს, რომ აქ დანიშნულ იქმნა ამ სენთან საბრძოლველად საგანგებოდ ერთი ექიმი, ერთი ფერშალი, საგუბერნიო ექიმის თანაშემწეც კი მოვიდა და ერთი სიტყვით ყოველგვარი ზომები იქმნა მიღებული. ბ-ნი „ძველი მეჯვრისხეველი" ბრძანებს: „უკვე ოთხი თვეა მთავრობაში პარტიები—სოციალ დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების—შეერთდნენ და შეთანხმებით მუშაობენ, მეჯვრისხევში კი ამის მზგავსს არაფერს ვხედავთ, ნაყოფიც ხომ ყველამ დაინახა, ერობის არჩევნები უკანონოდ მხოლოდ გორის მაზრაში ხდება, სადაც ასეთი არა მკითხე კომისრები არიან"-ო. ესეც ისეთივე ცილის წამებაა, როგორც პირველი ორი. გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გორის მაზრაში გამოეცადეს დამოუკიდებლად. რა შუაშია აქ კომისარი ან კომისრები? და ბოლოს ბ ნი „ძველი მეჯვრისხეველი" ეხება ადგილობრივი კანცელიარიის ასაშენებლად შეგროვილ ანგარიშებს და კითხულობს: „საჭიროა გავიგოთ რა იქნა ის ფული და ან რატომ არ ამთავრებენ იმ შენობას?". თუ რა იქნა ფული, ეს კარგათ მოეხსენება ბ-ნ „ძველ მეჯვრისხეველს". აკი ეს ანგარიშები სოფლის ნდობით აღჭურვილმა ამორჩეულმა პირებმა ჩაიბარეს კიდეც, სხვათა შორის ჩემ მიერ საზოგადოებაზე გაწეული დანახარჯი გამისწორეს კიდეც. რაც შეეხება იმას, რომ „შენობას რატომ არ ამთავრებენო" უნდა მოვახსენოთ ბ ნ „ძველ მეჯვრისხეველს", რომ მასზე ნაკლებად არა ვართ დაინტერესებული შენობის დამთავრებაში, მაგრამ ექვსასიოდე მანეთით რა შენობის მოთავება შეიძლება".

მეჯვრ-სხევის რაიონის კომისარი:
ი. რუხაძე.

ცნობები

ნოემბრის პირველ დღეებში ბათუმიდან დაბრუნებულა ტყვე, ოზურგეთის ბრძოლაში აპრილის თვეში ტყვეთ წაყვანილი ჯარისკაცი დაბა საჩხერის მცხოვრები, რომელსაც, როგორც გავიგეთ უთქვამს, რომ მასთან ერთად იყო ამავე ბრძოლაში უგზო უკვლოთ დაკარგული ჯარისკაცი კალისტე თაყას ძე ღლონტი. მთქმელი ვეძიეთ, მაგრამ ვერ ვიპოვნეთ. გულ-დათუთქული მშობლები სთხოვს.— მართლა თუ რამე იცის კალისტე თაყას ძე ღლონტის შესახებ, გვაცნობოს სადგურ სუფსაში, ნესტორ ღლონტს.

[illegible]

ვისაც რომ უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა-მე მისი ჭირისა!
ვისაც გულს ცეცხლი უნთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც აღმოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!
ვინც უყოყმანოთ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისა',
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უმწიკვლო პოეზიისას!
ვისაც კი უყვარს აკვანი
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ზრუნავს და მისთვის სტირისა,
ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მახვილაძე
იღებს სპეციალურად- მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, ჯანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებანი, საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი
იონას რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

კბილის საექიმო კაბინეტები
თედორე ხაჯარიელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

რენტგენისა და ელექტრო[illegible] სამკურნალო კაბინეტი
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭვებ-ბის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
პეპელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—23.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქ [illegible] შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელ. № 5—77.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსეფალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექ. ქალი რ. ხ. ზიზლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო)

ექიმი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

20 გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე,
ყოფილ სამხედრო სასწავლებლის ეზოში გაიყიდება
საჯარო ვაჭრობით
მეოთხე ქვეითა პოლკის საგარგო (ობოზъ).

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მძარ. წრე.
სახალხო სახლი.
კვირას, 17 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება:
„იმედის" დაღუპვა.
დრამა 4 მოქ, ჰაერმანისა, თარგ. დ. მესხისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ს. ანკარა, ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ე. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი დგებუაძისა, ჭიაურელი; ბ-ნი: ნ. გოცირიძე, დ. ბაქრაძე, მ. მამაჯანოვი, ? მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, ა. თავდგირიძე, ა. იმერელი, ნ. ჭანკვეტაძე.
დასაწყისი საღ. 7 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე.
შემდეგი წარმოდგენა 22 ნოემბერს. რეჟისორი ალ. ბადრიძე.

ცენტრალური სასურსათო საბჭო
(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში
მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში
მარილის მიღება შეიძლება ქ. თფილისში და ქ. ფოთში. (10—3)

---

*) რედაქციამ მიიღო. რედ.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 4